# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 აპრილი 2003 №58 (1829) ფასი 50 თეთრი

# ჩივაძე ნაკრებიდან ერთი ქულით მიდის



## მალხაზ ასათიანი: ქართულ ფეხბურთში იმედი მოდის





ეტყობა გიორგი ლომაია ნაკრების კარში კარგა ხნით ჩადგა

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მეათე ჯგუფი
თბილისი. 2 აპრილი. 21 საათი. ლოკომოტივი. 10 000 (ტევადობა 25 000)

## საქართველო 0:0 შვეიცარია

1 ლომაია
მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე
2 ხიზანიშვილი 3 ხიზანეიშვილი 6 ქემოკლიძე
4 რეხვიაშვილი
8 ცქიტიშვილი 5 კვირკველია
7 ნემსაძე 10 კობიაშვილი
11 დემეტრაძე 9 იაშვილი

11 შაპუიზა 9 ა. ფრეი
10 ჰ. იაკინი
8 ვიკი 7 კაბანასი
6 ფოგელი
3 ბერნერი 2 ბ. ჰაასი
4 მიულერი 5 მ. იაკინი
მწვრთნელი იაკობ კუნი
1 ცუბერბიულერი

შეცვლა: ნემსაძე – 16. დიდავა (46), იაშვილი – 14. შ. არველაძე (46), ფრეი – 15. სელესტინი (61), კაბანასი – 17. კანტალუპი (69), დემეტრაძე – 18. აშვეთია (73), ჰ. იაკინი – 18. ლ. ტურე (90)

გაფრთხილება: შაპუიზა (6), რეხვიაშვილი (19), კობიაშვილი (77), აშვეთია (84)

მსაჯები: ედო ტრივკოვიჩი; მიროსლავ ჯედვაჯი, იოსიპ ნოვკო; გორან მარიჩი (ყველა ხორვატია)

უეფას დელეგატი: მანოს მავროკოკულაკისი (საბერძნეთი)

მსაჯების ინსპექტორი: ჟან-კლოდ ჟოკვინი (ბელგია)

ჯარიმა: 19-18; კუთხური: 4-0; კარისკენ დარტყმა: 3-6; კარში დარტყმა: 4-5; თამაშგარე: 3-3

# ჩვენი ფეხბურთი ნაღვლის ბუშტიდან შარდის ბუშტამდე

გიორგი დარჯანია

სატურნირო თვალსაზრისით, საქართველოს ნაკრებმა შვეიცარიასთან ფრით ვერაფერი მოიგო — ჯგუფში კვლავ ბოლო ადგილზეა და მის წინ მყოფებს იმდენივე ქულით ჩამორჩება, რამდენიც აქამდე აშორებდა და თუ ამ ფრით ვინმე მოგებული დარჩა, უპირველესად რუსეთი, რომელსაც ახლა პირველი წრის პირველ ადგილზე ჩამთავრების შანსი მიეცა. მაგრამ სხვათა დაკმაყოფილებით ქართველი ქომაგი ვერ ისიამოვნებს, ხოლო ის ფაქტი, რომ ზედიზედ წაგებული მატჩების მერე საქართველოს ნაკრებს, როგორც იქნა, მალტაზე, სან მარინოზე ლუქსემბურგზე, მოლდოვასა და ანდორაზე მეტი ქულა აქვს, ხელების ფშვნეტისთვის ასევე არ გამოდგება.

ახლა ქულების თვლას თავი დავანებოთ და უშუალოდ მატჩი გავარჩიოთ — ეგებ, ჩვენი ფეხბურთელების თამაშის ხარისხში მაინც ვიპოვოთ რამე სანუგეშო.

განათლებულ მკითხველთან ბოდიშს ვიხდით, მაგრამ სანამ გარჩევას შევუდგებით, ფეხბურთის არსი განვმარტოთ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გუნდი უნდა ეცადოს, საკუთარ კარში ბურთი არ გაუშვას, ხოლო მეტოქისაში — გაიტანოს. ახლა კი ვნახოთ, საქართველოს ნაკრები ამ ორი მიზნის მისაღწევად როგორ გაისარჯა.

2001 წლის 5 სექტემბერს ჩვენმა გუნდმა ლიტვას 2:0 რომ მოუგო, მას მერე პირველად მოხდა, კარი მშრალად რომ შეინახა, ლიტვიდან შვეიცარიამდე კი შვიდი თამაში ჩაატარა.

შვეიცარიელთა შეტევების მოგერიებისას ქართველ მცველებს აშკარად თვალშისაცემი შეცდომები არ დაუშვიათ, თუმცა ორ ეპიზოდში (ორივე პირველი ტაიმისაა) მეტი ყურადღება მართებდათ. ამათგან ერთი ლამის გოლით დასრულდა — გიორგი ლომაიას სამიოდე მეტრიდან თავით დაურტყეს, მაგრამ საბედნიეროდ მეკარეს ბურთი პირდაპირ ხელებში მიუვიდა. მეკარე ვახსენეთ და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ლომაიამ უშეცდომოდ ითამაშა, მართალია, ბევრი შემწუხებელი არ ჰყავდა, მაგრამ ქართული ფეხბურთისთვის აგრერიგად ნაცნობი მეკარის პრობლემა, ისევე როგორც ირლანდიასთან, გუშინაც არ იგრძნობოდა.

ერთი სიტყვით, მეკარისა და მცველთა თამაში დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა ორი გარემოება უთუოდ გასათვალისწინებელია. პირველი: მცველები იერიშებს კი უმკლავდებოდნენ, მაგრამ ბურთის საჯარიმოდან გამოტანისას მალიმალ ცდებოდნენ. რამდენიმე ეპიზოდში ბურთის უხეიროდ მოგერიება მეტოქის ახალი იერიშის დასაწყისი გამოდგა. და მეორე გარემოებაც: თავად შვეიცარიელები ძალიან უგერგილოდ უტევდნენ და მათ მაგიერ საქართველოს ნაკრების კარისთვის უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელებს რომ შეეტიათ, რა მოხდებოდა, ვერ მოგახსენებთ.

კეთილი, დაცვამ იერიში მოიგერია და ქართველ წინახაზელთა საპასუხო შეტევის ჯერი დადგა. ამ დროს რა ხდებოდა? სამწუხაროდ, არაფერი. ტრიბუნები რამდენჯერმე კი გაირინდნენ გოლის მოლოდინში, მაგრამ ნაღდი საგოლე მომენტი რასაც ჰქვია, მხოლოდ ერთი გვქონდა, როცა მეორე ტაიმის დასაწყისში გიორგი დემეტრაძე მეკარე ცუბერბიულერთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ დაჯაბნა — ჩემპიონთა ლიგაში გამობრძმედილმა ბაზელელმა ახმახმა დემეტრაძის დარტყმული კუთხურზე მოიგერია.



რაფაელ ვიკი და შოთა არველაძე

ჩვეულებრივ კი ქართველთა იერიშები ერთფეროვანი და ჩანასახშივე განწირული იყო. თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ნახევარმცველებს ფორვარდებამდე ბურთის მიტანის ერთადერთი ვარიანტი ჰქონდათ: მოედნის შუაგულიდან გრძელი, მაღალი ჩაწოდება. ამგვარმა ტაქტიკამ შედეგი რომ გამოიღოს, ორი რამაა საჭირო — ზუსტი პასი და ძლიერი ცენტრფორვარდი, რომელიც მცველებთან მაღალი ბურთისთვის ბრძოლისას არ დაიჩაგრება. საქართველოს ნაკრებმა თამაში ორი თავდამსხმელით დაიწყო, დემეტრაძით და იაშვილით, მაგრამ აღნიშნულ ფუნქციას რომ ვერც ერთი მათგანი ვერ შეასრულებდა, მით უმეტეს, შვეიცარიელებს ბრგე მცველები ჰყავდათ, იმთავითვე ნათელი იყო. ჰოდა, მოდი და ნუ გაიკვირვებ, რატომ აირჩიეს ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა ასეთი წამგებიანი ტაქტიკა. თუმცა ისიცაა, რომ მათ გაკვირვების უნარი რა ხანია, წაგვართვეს.

შეიძლება, ვინმე შემოგვედავოს, რომ ეგეთი ცენტრფორვარდი ქართველთაგან უბრალოდ არავინაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ტაქტიკის შეცვლაა საჭირო, თორემ იმის იმედად ყოფნა, რომ მცველები უხეშ შეცდომას დაუშვებენ, საქმისადმი არასერიოზული მიდგომაა. ისე, შვეიცარიელები მართლაც ცდებოდნენ, განსაკუთრებით კი მიულერი და ბერნერი, რის გამოც დემეტრაძეს ერთ ეპიზოდში ზედმეტი დრიბლინგის მაგიერ დროზე რომ დაერტყა, ეგებ რამე გამოსვლოდა კიდეც. თუმცა ერთხელაც დავძინოთ — ჩვენებისთვის საგოლე შანსი ლანგრით მიერთმიათ, ასეც არ ყოფილა.

ჰო, ბერნერმა მატჩის წინა დღეს „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა, „ფრაიბურგში" ლევან კობიაშვილის კონკურენტი ვარ, მაგრამ ფინკე ლევანს მამჯობინებსო. ბერნერის გუშინდელი თამაშიდან გამომდინარე, ფინკე არ ცდება.

ისე, დემეტრაძეს რამდენიმე ეპიზოდში ზედმეტ დრიბლინგში ვერც გავამტყუნებთ — როცა ორი მცველი მჭიდროდ მეურვეობდა, პარტნიორთაგან კი არავინ ეხსნებოდა, აბა, რა უნდა ექნა. მეორე ტაიმში იაშვილი შოთა არველაძემ შეცვალა, მაგრამ ერთი ოსტატური პასის გარდა, ნახსენებ მიზეზთა გამო, ვერაფერი გააწყო.

ნელ-ნელა საქართველოს ნაკრების უსუსტეს რგოლს, ნახევარდაცვასაც მივადექით, სადაც სრული ქაოსი სუფევდა. გიორგი ნემსაძემ ერთი ხეირიანი პასიც ვერ გააკეთა და მისი ბურთთან ყოველი შეხება დაკარგვითა და საპასუხო იერიშით მთავრდებოდა. შესვენებისას ის გივი დიდავათი შეცვალეს, რომელიც უკეთ გაისარჯა, ხოლო კაპიტნის სამკლავური კობიაშვილმა გადაიბარა. ლევან ცქიტიშვილი მოედანზე ბოლომდე იყო, მაგრამ არც მას გაუკეთებია კაპიკის საქმე. შესვენებამდე ფლანგზე კარგავდა ბურთს, მეორე ტაიმში კი დიდავას გაუცვალა ადგილი და მოედნის შუაგულში გააგრძელა პირველ ტაიმში დაწყებული საქმე. კობიაშვილსაც არ უთამაშია საუკეთესოდ, თუმცა გერმანული გამძლეობით კი დარბოდა.

ნახევარმცველთა თამაშში ერთი რამ გაუგებარი დარჩა: როცა ცენტრში მყოფ ფეხბურთელს ფლანგზე მყოფი პარტნიორისთვის ბურთის მიცემა უნდა, ჩვეულებრივ პასს აძლევს-ხოლმე, ჩვენი ნახევარმცველები კი ფლანგზე მყოფ პარტნიორთან მიირბენდნენ და ბურთს ფეხიდან ფეხზე გადაულოცავდნენ.

და ვინც ძალიან მოგვეწონა, დებიუტანტი კვირკველია იყო. უკანაც კარგად თამაშობდა და ერთადერთი გახლდათ, რომლის ფლანგური გარღვევებიც შეტევას ამწვავებდა. ერთი მომენტი განსაკუთრებით კარგი გამოუვიდა: მარცხნიდან გაიჭრა და საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც დიდავამ ბურთს თავი ვარდნაში შეაგება. ვაგლახ, მცველმა მოიგერია.

ბოლო წუთებში ირლანდიელთაგან შეშინებული ქართველები შეტევაზე აღარც ფიქრობდნენ, ვინმე არ გაგვეპაროს და ისევ უქულოდ არ დავრჩეთო. ამას დაღლა და კობიაშვილის ტრავმაც დაემატა. ფრაიბურგელმა ფეხი იტკინა, მაგრამ ჩივაძეს შეცვლათა ლიმიტი ამოწურული ჰქონდა, რის გამოც კაპიტანი დარჩენილ დროში კოჭლობით დარბოდა. როცა ლომაიამ ძლიერი დარტყმით ბურთი ლამის მეტოქის საჯარიმოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადააგდო, ათიდან რვა ქართველი საკუთარ ნახევარზე იდგა.

უშუალოდ თამაშზე ისიც შეგვიძლია დავძინოთ, რომ ხორვატმა არბიტრმა ედო ტრივკოვიჩმა დემეტრაძის შემცვლელი მიხეილ აშვეთია სიმულაციისთვის სულ ტყუილად გააფრთხილა და ხალხის რისხვა დაიმსახურა. ოღონდ მსაჯს ძალიანაც ნუ გავკიცხავთ — პირველ წუთზე საქართველოს ნაკრების კარში პენალტი არ დანიშნა.

საფეხბურთო ამბები სულ ეს იყო, მაგრამ დასკვნების გამოტანა ახლა ჭირს, მომავალ მატჩს ხომ ჩვენი ეროვნული გუნდი ახალი მწვრთნელის ხელქვეით ჩაატარებს და ის ახალი მწვრთნელი ვის და როგორ ათამაშებს, დღეს როგორ ვიტყვით.

არასაფეხბურთო ამბებიდან კი მოგვიტევეთ და, სტადიონის ტუალეტებზე მოგახსენებთ. ამას წინათ დიდი ამბით გვამცნეს, ჟურნალისტებისთვის ორი ტუალეტი გავაკეთეთო. ოღონდ ერთით მარტო უცხოელები ისარგებლებენ, თქვენ, ქართველები იქ შეშვების რა ღირსნი ხართო. გუშინ კი აღმოჩნდა, რომ ტუალეტი მხოლოდ იმისთვის გააკეთეს, რომ ზედ დიდი ბოქლომი დაედოთ და წინ პოლიცია დაეყენებინათ. ვფიქრობთ და ვერ მივმხვდარვართ, უნიტაზში ისეთი რა იყო, საგანგებო დაცვა რომ დასჭირდა.

გულშემატკივრებიც შავ დღეში იყვნენ. მოგეხსენებათ, საზოგადო ტუალეტი სტადიონს მიღმაა, ჰოდა, იქითკენ მიმავალ ხალხს არცთუ თავაზიანად ეუბნებოდნენ, ამ გასასვლელიდან ვერ გაგიშვებთ, იქიდან გადითო და საკმაოდ შორს მყოფი გასასვლელებისკენ მიუთითებდნენ. ხოლო იმათ, ვისაც შარდის ბუშტის მეტისმეტად გადატვირთვის გამო შორი გზა მეტისმეტად ეშორებოდათ და აპროტესტებდნენ, ნუ ბლატაობ, ბიჭოთი ისტუმრებდნენ. სხვა მხრივ, სტადიონზე სიმშვიდე იყო, ბოთლი და დანა არავის უსვრია.

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ირლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |



საპენალტო სიტუაცია საქართველოს ნაკრების კართან. თერთმეტმეტრიანი არ დაინიშნა

## პრესკონფერენცია

*პრესკონფერენცია სენტიმენტალური გამოდგა — საქართველოს ეროვნული ნაკრების დამრიგებელი პოსტიდან და დარბაზიდან ტაშით გავაცილეთ იმიტომ, რომ ის საშა ჩივაძეა. სანამ ალექსანდრე ჩივაძე იგვიანებდა, ჟურნალისტებთან საუბარს იაკობ კუნი შეუდგა...*



— ზოგადად, გასვლაზე მოპოვებული ქულა კარგი შედეგია და მეც კმაყოფილი ვარ დღევანდელი ფრით. მოედნის საფარს აკრიტიკებდნენ, მაგრამ საერთო ჯამში, ყველაფრის კმაყოფილი ვარ.

— თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში გაჩაღდა, სადაც ფეხბურთელები ერთობ მჭიდროდ მოქმედებდნენ. ასეთ დროს ძალიან ძნელია გოლის გატანა.

— მინდა აღვნიშნო ცუბერბიულერის დიდებულად მოგერიებული ბურთი მეორე ტაიმში.

— რაც შეეხება იმას, ველოდი თუ არა საქართველო — ირლანდიის მატჩიდან გამომდინარე მეტოქის ასეთ წინააღმდეგობას, გეტყვით, დღეს ნამდვილად მებრძოლი მოწინააღმდეგე გვყავდა.

— მომდევნო მატჩებში უფრო შთამბეჭდავად ვითამაშებთ და იმედი მაქვს, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გავალთ.

ამის შემდეგ პრესკონფერენციაზე ოდნავ დაგვიანებული ჩივაძე და კუნი ერთმანეთს გადაკოცნით დაემშვიდობნენ და ბატონი საშაც ჩვენს განკარგულებაში დარჩა.

— შვეიცარიის ნაკრები აღმავლობის გზაზეა — ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ევროპაში. სამი დღისწინანდელი მატჩის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში ხუთი შეცვლა განვახორციელე — შედეგს მაქსიმალურს კი ვითხოვდი, მაგრამ ასე არ მოხდა — მხოლოდ ბრძოლა იყო. გემოვნების უნარი მაქვს და ვიცი, რომ ასეთი თამაში ხალხს კმაყოფილებას ვერ მოჰგვრის.

— კარგია, რომ პირველი ქულა მოვიპოვეთ. სამწუხაროა, რომ მომდევნო მატჩში რუსეთთან კობიაშვილი და რეხვიაშვილი ვერ ითამაშებენ. ნაკრებში თაობათა ცვლა დაწყებულია, მაგრამ რეზერვი ძალიან მწირია.

— როცა ზოგიერთი ფეხბურთელი ნაკრებში მოდის, შიში ეუფლებათ — ეს გამოცდილებსაც ემართებათ და ახალბედებსაც. გვარებს ვერ დავასახელებ, მაგრამ ზოგიერთი მოთამაშე ნაკრებში „მანდრაჟით" თამაშობს — ოსტატებს ასეთი რამ ნაკლებად მოსდით.

— კვირკველიას სახით ნაკრებს საიმედო ფეხბურთელი ეყოლება.

— დემეტრაძე იმიტომ გამოვცვალე, რომ დაიღალა — მან არველაძის პასით დაღლის გამო ვერ გაიტანა. საერთოდ ასეა — დემეტრაძის დარ სწრაფ ფეხბურთელებს ძალების აღდგენისთვის უფრო მეტი დრო სჭირდებათ.

— მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის იმიტომ ვითამაშეთ განსხვავებული შემადგენლობით, რომ მსურდა, ყველას დაენახა, თუ რა შეუძლიათ იმ მოთამაშეებს და თვით იმ ფეხბურთელებსაც დაენახათ, რისი მაქნისები არიან.

— მივდივარ და მწვრთნელის ბედიც ასეთია. როცა ერთხელ ცხონებულ ნოდარ ახალკაცს ჰკითხეს, როგორ ხარო, უპასუხა — როგორც ჰარამხანაში, ვიცი, ჩემი დროც დადგება, მაგრამ როდის, ამას ვერ გეტყვიო.

— ნაკრებში ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც ორივე ფეხით და თავით ვერ თამაშობენ და ასეთი რამ ხდება ეროვნულ ნაკრებში...

— მწვრთნელებისთვის ბედნიერებაა, თუ მას გუნდში 3-4 დირექტორი ჰყავს — ისეთი მოთამაშეები, რომლებიც თამაშს წაიყვანენ.

— ქინქლაძე არაორდინალური, ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და მისგან სულ განსაკუთრებულს ველით. წინა შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩებში სწორედ ქინქლაძის და ჯამარაულის, ასე ვთქვათ, თამაშები იყო. ჰოდა, მეც ერთხელაც ვენდე გამოცდილ ფეხბურთელებს, მჯეროდა მათი, თანაც ბევრი ამხანაგურ მატჩების ჩატარების საშუალებაც არაა.

— არა მგონია, რომ ფეხბურთელი ეროვნული მაისურით გავიდეს მოედანზე და შეგნებულად ჩააგდოს თამაში.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა ძალიან მძიმეა. ნაკრებს გვერდში უნდა ამოვუდგეთ და მას მიმართ ობიექტურები ვიყოთ. არაობიექტურობა გუნდზე ძალიან მოქმედებს. ჟურნალისტებს მადლობას გიხდით და მოდით, გვერდში ამოვუდგეთ ნაკრებს.

— ვინც მოვა საქართველოს ნაკრების სათავეში, მან კარგად უნდა იცოდეს ქართული ფეხბურთი.

— ფეხბურთი განსაკუთრებული რამ არის. რაგბის დიდ პატივს ვცემ და ჩვენ მორაგბეებს დიდ ექვსეულში მოხვედრას ვუსურვებ. ჩვენ კი თითქმის სულ პოლიტბიუროს წევრებს ვეთამაშებით. მონდომების და საქმისადმი მიდგომის მხრივ, რა თქმა უნდა, შეიძლება ჩვენი რაგბი და ფეხბურთი შევადაროთ, ოსტატობა კი სულ სხვა რამეა.

— ნაკრების ხელმეორედ გაწვრთნას იმიტომ დავთანხმდი, რომ წინა შესარჩევი ციკლის ბოლო თამაშებში გუნდში ერთსულოვნება დავინახე. ამბობენ, ის მატჩები უმოტივაციო იყოო, მაგრამ ნაკრების დონეზე ყოველი მატჩი ფასეულია. გადაწყვეტილების მიღებისას ბევრი ვიფიქრე. ფეხბურთელი ვიყავი და მინდოდა, კვლავ შევჭიდებოდი თამაშს. ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ შევძელი ნაკრების ხელმეორედ გაწვრთნაზე უარის თქმა.



— მალხაზ ასათიანი უდავოდ ნიჭიერია, მაგრამ მან ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე — მსურს, ასათიანმა უბურთოდაც ბევრი იმოძრაოს, დიდი დისტანციები დაფაროს. ეს ფეხბურთელი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მომენტია ახალგაზრდულ ნაკრებში. დროა, რომ მან უკვე მოძებნოს თავისი ადგილი მოსკოვის „ლოკომოტივში".

## მატჩის შემდეგ

*დავით კვირკველია:*

თამაშამდე ორი დღით ადრე ვიცოდი, რომ ვითამაშებდი და შვეიცარიელთა დასახვედრად ფსიქოლოგიურადაც ვემზადებოდი. მწვრთნელებიც მამხნევებდნენ, რა თქმა უნდა, თავიდან ემოციები მომეძალა, მაგრამ არ შემშინებია. თამაში როგორ გამომივიდა, სპეციალისტების, ჟურნალისტების და ქომაგების შესაფასებელია. გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ფრე მაინც ლოგიკური შედეგი მგონია.

*გიორგი დემეტრაძე:*

შედეგით უკმაყოფილო ვარ, ჩვენ მოგება შეგვეძლო. სტუმართა მეკარემ ორჯერ აშკარა გოლისგან იხსნა შვეიცარია. ორჯერვე თითქოს უნაკლოდ დავარტყი, მაგრამ ცუბერბიულერმა ბოლო წამს ბურთის მოგერიება მოახერხა. შვეიცარიელთა გოლკიპერს მეკარისთვის აუცილებელი უტყუარი წინათგრძნობა და ათლეტური აღნაგობა დაეხმარა.

*გიორგი ლომაია:*

გამარჯვებას ვიმსახურებდით. მეტოქეს მხოლოდ ერთი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდა, ჩვენ სამი. პირველ ტაიმში შვეიცარიელს თავით უფრო ეშმაკურად რომ დაერტყა, გუნდის გადარჩენა გამიჭირდებოდა. რაც შეეხება საჯარიმოს გარედან მეტოქის დარტყმულს, რთული ბურთი კი იყო, მაგრამ მსგავს მომენტში მეკარე თუ არ თვლემს, ვალდებულია გუნდი იხსნას.

*მიხეილ აშვეთია:*

გული დამწყდა, რომ ვერ მოვიგეთ. მეტოქეს არაფერში ჩამოვრჩებოდით და საგოლე მომენტებიც მეტი შევქმენით. რაც მთავარია, მოძრაობაში არ ჩამოვრჩით სტუმრებს და ბრძოლაშიც ვერ გვაჯობეს. მსაჯობა კი ძალიან ცუდი იყო. ასეთ შეცდომებს ქართველი არბიტრებიც არ დაუშვებენ.

*ზურაბ ხიზანიშვილი:*

მართალია, დასაწყისში დაცვაში ვცდებოდით, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო თავდაჯერებულები ვხდებოდით. მეორე ტაიმში დარწმუნებული ვიყავი, მეტოქე ვერ გაიტანდა. სამწუხაროდ, ჩვენი შანსი ვერ გამოვიყენეთ და სტუმარიც არამგონია გულგატეხილი მიემგზავრებოდეს.

*გიორგი ნემსაძე*

— ირლანდიასთან რომ არ წაგვეგო, ამ თამაშს მოვიგებდით. ფსიქოლოგიურად დათრგუნულები დავუხვდით შვეიცარიელებს. არადა, როგორც ნახეთ, არაა ეს გუნდი დაუმარცხებელი. ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, სამ ქულას მოვიპოვებდით. ჩემი შეცვლის მიზეზი კი ჩემივე თამაშია, ირლანდიის მერე ჩვეული პოზიცია შევიცვალე, საყრდენი ნახევარმცველობის ნაცვლად გამთამაშებლობა მევალებოდა და ახალ ამპლუაში ცოტა არ იყოს გამიჭირდა, ამისთვის მოუმზადებელი ვიყავი.

*ოთარ ხიზანეიშვილი*

— უკეთ შეგვეძლო თამაში. შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოვავლინეთ, თუმც, რომ ვიბრძოლეთ, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება. საკუთარი თავით მაშინ ვიქნებოდი კმაყოფილი, შვეიცარია რომ დაგვემარცხებინა.

*ალექსანდრე რეხვიაშვილი*

— ფაქტობრივად, ახალი შემადგენლობით ვითამაშეთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, უნდა მოგვეგო. დაცვამ, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ერთი-ორი ეპიზოდის გამოკლებით, უშეცდომოდ ითამაშა. ყველას თავის კონკრეტული დავალება ჰქონდა. მე ჰაკან იაკინის განეიტრალება მევალებოდა და რაკი ის შეცვალეს, ვფიქრობ, მის წინააღმდეგ ნორმალურად ვითამაშე. მთლიანად გუნდიც კარგად გამოიყურებოდა, საფუძველი გამოჩნდა და ამ შემადგენლობით წარმატების მიღწევა შეიძლება.



შვეიცარიელთა მრავლისმნახველი კაპიტანი შტეფან შაპუიზა და ქართველთა დებიუტანტი დავით კვირკველია

# თამაში, რომელმაც ფიქრი აშალა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. X ჯგუფი

## საქართველო 0:2 შვეიცარია

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 2 000 (ტევადობა 70 900)

0:1 მუფი (33), 0:2 ნეფი (40)

**საქართველო:** მამალაძე, ორბელაძე, ციმაკურიძე, სალუქვაძე, კანდელაკი (კოშკაძე 72), მ. ბურნაძე, მანჯგავა (გამეზარდაშვილი 46), სირაძე, ახალაია (ი. მოდებაძე 20), ასათიანი, ბობოხიძე
*სათადარიგონი:* ივარდავა; ჯ. სეჯაია, დეკანოსიძე, ი. სამხარაძე
**მწვრთნელი:** რევაზ არველაძე

**შვეიცარია:** ვიოლფლი, ნეფი, როჩატი, რ. შვეგლერი, ეგიმენი, დარბელანი, ბა, გიგაქსი (ლიხტსტაინერი 89), მუფი, პ. ბაუმანი (შალა 72), სტრელერი (ვონლანთენი 82)
*სათადარიგონი:* პორტმანი; იაგი, მარაცი, კერონი
**მწვრთნელი:** ბერნარ შალანდე

**გაფრთხილება:** ნეფი (23), მოდებაძე (25), დარბელანი (38), სალუქვაძე (59)

**მსაჯები:** იაროშირ პლავაკი; იგორ გულაიევი, მიროსლავ ტულინგერი; მილან სედივი (ყველა ჩეხეთი)

**უეფა-ს დელეგატი:** ჟან-კლოდ ჟოკვინი (ბელგია)

ჯარიმა: 24-26; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 7-5; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 3-3

პაპუნა კედია

### მალხაზ ასათიანი

ვისაც უნდა, არაპედაგოგიურობაში დაგვდოს ბრალი, ვისაც უნდა, გადაჭარბებად მოეჩვენოს, ჩვენ მაინც ასე ვიტყვით: ქართულ ფეხბურთში ახალი ვარსკვლავი ბრწყინდება და მისი ჩაქრობის უფლება არ გვაქვს, ცოდვაა! ჩვენი მხრივ ეს გულწრფელი, ალალი ნათქვამია, ხოლო სიალალესა და გულწრფელობას ცუდი შედეგი ვერაფრით მოჰყვება. ამიტომაც ვამბობთ ასე თამამად.

საკუთარი თავის ჩაქრობის უფლება კი, პირველყოვლისა, თავად ასათიანს არ აქვს. მის გარშემო, ალბათ, უამრავი ადამიანი იტრიალებს, ბევრი კეთილი, ბევრიც მზაკვარი. მზაკვრები მისი ნიჭით გამდიდრების გეგმებს დახლართავენ, კეთილი ადამიანები აქებენ და ადიდებენ, გამოითქმება უამრავი აზრი, შესაძლოა, ეს ყველაფერი კალეიდოსკოპივით დაუტრიალდეს თავსა და გულში, მაგრამ უნდა გაუძლოს, გაძლებით კი მხოლოდ ერთი რამ გააძლებინებს: სხვები როცა იხმაურებენ, მან უნდა ივარჯიშოს; სხვები ტყუილების ბადეებს რომ მოქსოვენ, მან უნდა ივარჯიშოს; სხვები თავს ზიდანად რომ წარმოადგენინებენ, მან უნდა ივარჯიშოს! მან უნდა ივარჯიშოს და ისწავლოს თანამედროვე, სანტიმეტრობით გამოზომილი ფეხბურთის თამაში. უნდა ივარჯიშოს და დაიმახსოვროს შეტევის თუ თავდაცვის ვარიანტები, ხერხები, გზები, ყური უნდა უგდოს მწვრთნელებს, მეტად თუ ნაკლებად ცნობილისგან, მეტად თუ ნაკლებად ჭკვიანისგან რაღაც მაინც უნდა მიიღოს, დაილექოს.

ქართველ და შვეიცარიელ ახალგაზრდათა მატჩის მეორე ნახევარი პირველისგან რომ განსხვავდებოდა და თუნდაც ეპიზოდურად მასპინძლები უპირატესობას რომ ფლობდნენ, ძირითადად მისი დამსახურებაა. მან მოჰკიდა საქმეს ხელი ისე, როგორც ლიდერს და კაპიტანს შეეფერებოდა და იმიტომ შეიქმნა მომენტები, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული 52-ე წუთზე იყო, როდესაც მარცხნიდან პასი დაუგორეს, მას კარში უნდა დაერტყა, მაგრამ უნებლიედ გზა მსაჯმა გადაუკეტა. ასათიანმა ბურთი იხელთა, გააკონტროლა, საჯარიმოს მარჯვნიდან შემოურბინა და ჩააწოდა. საჯარიმოში ამ ჩაწოდებას მოდებაძე გამოეხმაურა, მაგრამ თავით დარტყმა არ მოუხერხდა. ბურთმა გზა ბობოხიძისკენ განაგრძო, ბობოხიძემ დარტყმა შეძლო, მაგრამ ზედ კარის ხაზიდან იგი სტუმართა მცველმა გამოიტანა.



აშკარაა, მალხაზ ასათიანი ახალგაზრდული ნაკრებიდან ამოიზარდა

გარდა ამ მომენტისა, იყო ნახევარმომენტებიც, რომელთა დიდი ნაწილი ასევე ასათიანის ჩარევის გამო შეიქმნა, თუმცა აქ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კიდევ ერთი, მეტისმეტად აშკარა შესაძლებლობა (ეს უკვე პირველი ტაიმის ამბავია) რომ არ ავღწეროთ, არ შეიძლება: 29-ე წუთზე ასათიანმა გონივრული პასით მოდებაძე მოამარაგა, მან ბობოხიძეს მიაწოდა, ბობოხიძემ კი დაარტყა, ოღონდ ბურთი სტუმრების მეკარემ ვიოლფლმა მოიგერია — მოგერიებულს ისევ ასათიანი დახვდა, რომელსაც ამ დროს მეტოქის საჯარიმოში შორეული ძელის მიმართულებით გადაენაცვლა. ვიფიქრეთ, ასათიანი დაარტყამდა, მაგრამ მან ისევ პასი არჩია — აქ მოდებაძემ თავით სცადა ბურთის შვეიცარიელთა კარში შეგდება, მაგრამ მეკარესა და მცველს კარის ეს მონაკვეთი ჩაეკეტათ.

და, რაკილა ისე გამოვიდა, რომ საქართველოს ნაკრების ძირითადი მომენტები უკვე აღვწერეთ, ბარემ აქვე, მალხაზ ასათიანისადმი მიძღვნილ ქვეთავში ჩავწეროთ ის მომენტიც, რომელთანაც იგი არაფერ შუაში გახლდათ: 52-ე წუთზე სირაძემ გრძელი და სახიფათო პასი ჩააწოდა მოწინააღმდეგის საჯარიმოში, სადაც მოდებაძემ დაარტყა, მაგრამ ააცილა.

### არა იცრუო

ჩვენი წერილის პირველი ნაწილის მკითხველს შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა კარგად ითამაშა, არადა, ასე არ ყოფილა — გუნდი 0:2 დამარცხდა. გოლები გარითმული გვარების მქონე ფეხბურთელებმა, მუფმა და ნეფმა გაგვიტანეს, თუმცა ყველაფრის მოყოლას თავისი რიგი აქვს.

თხრობა იმ ადგილიდან განვაგრძოთ, სადაც 29-ე წუთი და შვეიცარიელთა კართან შექმნილი მომენტი აღვწერეთ. მალე ერთი მეტად საინტერესო ამბავი მოხდა.

კერძოდ, 31-ე წუთზე სტუმრებმა მასპინძელთა კარისკენ შეტევა წამოიწყეს და დაარტყეს კიდეც. ქართველების მეკარემ, ზურაბ მამალაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია, მაგრამ ჩეხმა მსაჯმა იარომირ პლავაკმა ჩათვალა, რომ ბურთი მიზანს უბრალოდ ასცდა და კუთხურის დანიშვნა არც უფიქრია. შვეიცარიელებმა გააპროტესტეს და, როგორც ჩანს, პან ჰლავაკს ეჭვი გაუღვივეს. და აქ არბიტრი ერთი შეხედვით გულუბრყვილოდ მოიქცა, მამალაძესთან მივიდა და ჰკითხა, ბურთი შენს კარს ასცდა თუ კუთხურზე მოიგერიეო. მამალაძემ, ცხადია, იცრუა, ასცდაო, რის შედეგადაც ჰლავაკის მადლობითა და ნებართვით იგი თამაშში შეიტანა. ჰოდა... თამაშში შეტანილი ბურთი სტუმრებმა იხელთეს, წამოიწყეს მათთვის ტიპიური კომბინაცია, რომლის ბოლოც სტრელერის მიერ მუფისთვის პასის გადაგდება და საქართველოს ნაკრების კარში გოლის გატანა აღმოჩნდა.

### ტიპიური კომბინაცია

პირველ ტაიმში სტუმრები მასპინძლებს აშკარად სჯობდნენ და აკი ორი გოლიც გაიტანეს. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, თამაშის დაბალი ტემპი და ქართველ ახალგაზრდათა „ატბორზე“ პასიურობა გახლდათ. შვეიცარიელთა გეგმა კი მეტისმეტად მარტივი იყო, იგი, ფაქტობრივად, ერთადერთი კომბინაციისგან შედგებოდა: ბურთს რომ იხელთებდნენ, ცენტრის აქეთა ნაწილის ანუ მასპინძელთა ნახევრის ორი შეხებით გადარბენას ცდილობდნენ. ესე იგი, ბურთს აწვდიდნენ სტრელერს ან ბაუმანს, რომელიც დაახლოებით მოედნის შუიდან 15-20 მეტრში იდგა და დაუყოვნებელი პასით ცდილობდა მცველებს დასხლეტილი, ამ ვარიანტზე დაგეშილი მუფის მეკარესთან პირისპირ გაყვანას. პრინციპში, სწორედ ის სურათი აღვწერეთ, რომელმაც 33-ე წუთზე წარმატება მოუტანათ.

ზევით დაბალი ტემპიც ამიტომ ვახსენეთ. ეს კომბინაცია სტუმრებს, ბუნებრივია, უფრო მშვიდად და დალაგებით მაშინ გამოუვიდოდათ, როდესაც მეტოქე აქეთ-იქით ქროლვით თავგზას არ აურევდა და არც ყოველ ორ ნაბიჯში ჩაუხტებოდა ფეხებში.

ხოლო, თუ რატომ არ ან ვერ დაქროდნენ ქართველი ახალგაზრდები, ეს ჩვენ შეუძლებელია ვიცოდეთ. მიზეზი შესაძლოა სხვადასხვა იყოს, ამინდით, გადაღლით თუ ზედმეტი დატვირთვით დაწყებული, ზოგადი ფიზიკური სისუსტით და ვინ უწყის, რით დამთავრებული.

აქვე ჩამოვთვალოთ: შვეიცარიელებს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობები ჰქონდათ მე-18, 34-ე, 54-ე და 62-ე წუთებზე. პირველი ძალიან ჰგავდა იმ ეპიზოდს, ქართველებმა 52-ე წუთზე რომ შექმნეს (აი, ასათიანს მსაჯმა ხელი რომ შეუშალა და შეტევა მარჯვნიდან გაგრძელდა), იმ განსხვავებით, რომ ბასთვის დარტყმაში ხელი არავის შეუშლია, მან თავად ვერ შეიგრძნო მომენტი, ხოლო ეგიმენის ჩაწოდების შემდეგ გიგაქსმა (მასთან ერთად კიდევ ორი შვეიცარიელი იყო უმეთვალყურეოდ დარჩენილი) თავით დარტყმას ფეხით დარტყმა ამჯობინა და ტექნიკური წუნის გამო ვერ გაიტანა.

34-ე და 62-ე წუთებზე თავურები იყო. პირველად პასი ჯარიმიდან ჩააწოდეს, სტრელერმა თავი დაჰკრა და ააცილა, მეორედ კი თამაშიდან ჩაჰკიდეს და მუფის თავური მამალაძის ლუკმა გახდა. ხოლო 54-ზე სალუქვაძემ დაუშვა შეცდომა — ბურთი მეკარეს რატომღაც გაბედულად ვერ დაუგორა, რის გამოც ბაუმანს ქართველ გოლკიპერთან პირისპირ შესვლის საშუალება მიეცა. თუმცა სალუქვაძეს გაუმართლა, ბაუმანი წესის დარღვევითაც გააჩერა და „ბოლო იმედის“ წითელსაც გადაურჩა.

### გაბედულება

მართალი გითხრათ, ამ თამაშის გარშემო კიდევ შეიძლებოდა საუბარი. თითქოს ისეთი ხომ არაფერი, მაგრამ რატომღაც განსჯისთვის თემები დატოვა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სადმე წერტილიც უნდა დაისვას, ჰოდა, ჩვენც აქ დავსვათ, ოღონდ წერტილამდე ერთი აზრის გამოთქმასაც გავბედავთ: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეებს, ვფიქრობთ, აშკარად აკლიათ გაბედულება, ანუ თავდაჯერებულობა, თუ გნებავთ, რიხი და სიმძლავრე ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ ჩვენი 21-წლამდელები ბავშვობას მთლად გამოთხოვებულნი არ იყვნენ, რაც ისე შეიძლება ძალიან კარგია, მაგრამ მოედანზე სპორტსმენმა სჯობს თავდაჯერებულ მამაკაცად, პასუხისმგებლობის ამღებად და საქმის ბატონ-პატრონად იგრძნოს თავი. იქნებ, ეს ყოველივე ფიზიკურ მომზადებასთანაც იყოს პირდაპირ კავშირში.



შვეიცარიელთა მეკარემ ვიოლფლმა მიხეილ ბობოხიძე ფეხით მოიგერია



„ეროვნულზე“ ხმაშეწყობილმა შვეიცარიელმა ქომაგებმა გაიხარეს

# პრესკონფერენცია

*„ეროვნულის" საპრესკონფერენციო დარბაზი მალევე კი შეივსო, მაგრამ გასახდელებთან ათასი ჯურის, პროფესიის და ასაკის ხალხი ტრიალებდა — სტადიონის ეს ალაგი ხშირად კომუნალურ ბინას ემსგავსება.*

*პრესკონფერენციაზე ჯერ ქართველ ოცდაერთწლამდელთა დამრიგებელი რევაზ არველაძე მოვიდა, ხუთიოდ წუთში შვეიცარიელთა თავკაცი ბერნარ შალანდეც გვეახლა, რომელმაც ენა გაიტეხა და ინგლისურად თქვა სათქმელი*

*ბერნარ შალანდე:*

— ძალიან კმაყოფილი ვარ. პირველ ტაიმში მართლაც ჩინებულად ვითამაშეთ. მინდორსაც მალე შევეგუეთ და, ვფიქრობ, ტაქტიკურად უნაკლონი ვიყავით.

— ქართველებმა პრობლემები შეგვიქმნეს — მეტოქედ კარგი გუნდი გვყავდა, მაგრამ ჩვენ თავით თამაშში გახლდით წარმატებულნი. მეორე ტაიმში კი თქვენმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმაც ღირსეულად უპასუხეს.

— ვიცი, რომ ირლანდიელებს აქ გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ დახვედრით, სტუმართმოყვარეობითა და ყველაფერით კმაყოფილნი ვართ.

— ჩემი გუნდიდან ყველამ კარგად ითამაშა, თუმც მეორე ტაიმში მეკარის გარჯა მაინც უნდა გამოვყო. ქართველთაგან ასათიანს გამოვარჩევ — ის ძალიან საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ, სამწუხაროდ, შვეიცარიული პასპორტი არ აქვს.

— შვეიცარიულ მატჩთან შედარებით თქვენი დღევანდელი გუნდი ძალიან განსხვავებული იყო — მაშინ მხოლოდ დაცვაში იდგა და მორიდებით თამაშობდა.

*რევაზ არველაძე:*

— დარწმუნებულნი ვიყავით, რომ შვეიცარია ირლანდიაზე ძლიერი მეტოქე იყო. ათლეტურად როგორი ფეხბურთელები ჰყავს შვეიცარიას, ყველამ ვნახეთ. სხვა მხრივაც შვეიცარია არაჩვეულებრივადაა მომზადებული.

— უყურადღებობა ქართული ფეხბურთის სენია, დაცვაში თამაშს კი ძალიან დიდი ყურადღება მართებს. გვყავდა დიდი მცველები, რომლებიც დიდი სისწრაფით და სხვა მონაცემებით ვერ გამოირჩეოდნენ, მაგრამ პოზიციურად ძალიან კარგად მოქმედებდნენ. გუნდში სიახლე დავნერგე — ხაზზე განლაგებული სამკაციანი დაცვა და ამ გზას არ გადავუხვევთ — უნდა ვისწავლოთ დაცვაში თამაში, კაც-კაცზე თამაში.

— ორი გოლი გავუშვით და არც თუ ისე ცუდი თამაშიდან ასეთი ცუდი შედეგი მივიღეთ. არადა, ვიბრძოლეთ და სუმბურული თამაში ნამდვილად არ იყო.

— როგორც იქნა, ქართველმა ნახევარმცველებმა კარში დაარტყეს, აგრესიულად ითამაშეს, მაგრამ ამ ყოველივეს დახვეწა უნდოდა და ჩვენ ხელის ჩაქნევას ნამდვილად არ ვაპირებთ.

— მსურს, მეტოქე მწვრთნელს კომპლიმენტი ვუთხრა — შვეიცარიელებმა ვაჟკაცურად ითამაშეს და ვაჟკაცურად მოიქცნენ — არც გავულანძღივართ და არც მინდორი დაგვიწუნეს.

— შვეიცარიელთაგან მეკარეს გამოვყოფდი და მათ გუნდურ თამაშსაც.

— არავის ვედარები და არც იმის თქმა მინდა, რომ ვილაცაზე უკეთესი ვარ, მაგრამ მეტოქე მწვრთნელის ჩვენს გუნდზე ნათქვამმა ძალიან გამახარა — მან ჩვენს ფეხბურთელებს მონდომება მოუწონა.

— ჩვენი გუნდიდან ასათიანს და ბობოხიძეს გამოვარჩევდი. ისე, წინ ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ დაცვაში პოზიციური შეცდომები გვქონდა.



ბერნარ შალანდე და რევაზ არველაძე ერთმანეთს ასე დაშორდნენ

# მატჩის შემდეგ

*გუშინდელი წაგება მოულოდნელი არ ყოფილა და ამისგან ტრაგედიაც არ შეიქმნება. საშიში და დასაფიქრებელი უფრო ის გახლავთ, რომ ნამატჩევს ქართველი ახალგაზრდების უმეტესობა დამარცხებას სტუმართა ყისმათს უფრო მიაწერდა, ვიდრე საკუთარ სისუსტეს. თუ ჩვენი ახალგაზრდული გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელებიც მათი შეგირდებივით ფიქრობენ, მაშინ მომავალი შესარჩევი ციკლიც ფუჭად ჩაივლის. „ჩვენ ორჯერ შევცდით და გაგვიტანეს, მეტოქეს კი ორჯერ მეტი შეცდომა ვაპატიეთ და ამიტომ დავმარცხდით" – ასეთი იყო გასახდელიდან ავტობუსისკენ მიმავალი ჩვენი ახალგაზრდების კომენტარი, თუმც ორიოდე ისეთიც გამოერია, ვითარება რეალურად რომ შეაფასა*

*მურთაზ ბურნაძე:* შვეიცარიის ნაკრები ჩვენზე უკეთ მომზადებული და შეთამაშებული გუნდია. ამას უვარგისი მინდვრის საფარიც დაემატა. ჩვენი უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ, ვერც ბურთი გავაგორეთ და არც პასი გამოგვივიდა. წაგებაც ამან გამოიწვია.

*დავით სირაძე:* შვეიცარია ფიზიკურად ძლიერი, ათლეტური და განსწავლული გუნდია. თამაში გამოსდიოდათ თუ არა, მწვრთნელის ყველა მითითებას ზედმიწევნით ასრულებდნენ. შეგვეძლო, მეტოქე რამდენჯერმე დაგვესაჯა, მაგრამ ამაში სხვას ვერ დავადანაშაულებთ. რომ ვერ შევაგდეთ, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ.

*ირაკლი მოდებაძე:* დღეს ჩვენ შვეიცარია დავჯაბნეთ. მეტი საგოლე მომენტი შევქმენით, უპირატესობასაც ვფლობდით, მაგრამ ფორტუნამ ზურგი გვაქცია. ერთი გოლი რომ გაგვეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა და მჯერა, მეტოქეც გატყდებოდა. მოედნის ხარისხზე კი ლაპარაკი არც ღირს. უხარისხო მინდორმა ჩვენ უფრო მეტად გვაზარალა.

*ალექსანდრე კოშკაძე:* მეტოქემ ბეჯითი და კარგად ნავარჯიშები გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. შვეიცარიამ გაზეპირებული ტაქტიკა შემოგვთავაზა და გოლებიც ალბათ ათასჯერ დამუშავებული კომბინაციებით გაიტანა. მიუხედავად ამისა, მეტოქეს უპირატესობა არ ჰქონია, უბრალოდ, ჩვენ ვერ შევასრულეთ მწვრთნელის ყველა მითითება. არველაძე მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვდა, ორჯერ მოვდუნდით და დავისაჯეთ.

*სერგო ორბელაძე:* შვეიცარიისგან მეტს ველოდი. შინ მათ ბევრად უკეთესად ითამაშეს და ჩვენთვის შანსი არ მოუციათ, დღეს კი მეტოქეს ვჯობდით, მაგრამ ორჯერ მოვდუნდით და სტუმრებსაც არ უღალატა სიზუსტემ. უკვე მერამდენე თამაშია, მოედანზე კარგად ვირჯებით და ვმარცხდებით. უმჯობესი იქნება, თუ უფრო რაციონალურები ვიქნებით და გავიმარჯვებთ.

*დავით გამეზარდაშვილი:* ვფიქრობ, მეტოქეს არაფერში ჩამოვრჩით, პირიქით, თამაშს ჩვენ ვკარნახობდით და გოლი რომ გაგვეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. უბრალოდ, დაცვაში მიამიტური შეცდომები დავუშვით და სტუმრებმაც ამით ისარგებლეს.

**მამუკა კვანტალიანი**



მიხეილ ბობოხიძე და მარიო ეგიმენი

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### ჩვენი ჯგუფი

ალბანეთი 1:0 ირლანდია

1:0 რიზვანოლი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| შვეიცარია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ირლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| საქართველო | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

### I ჯგუფი

ისრაელი 0:3 საფრანგეთი

სლოვენია 2:0 კვიპროსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 10:0 | 15 |
| სლოვენია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| კვიპროსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ისრაელი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 0:9 | 0 |

### II ჯგუფი

ლუქსემბურგი 0:5 ნორვეგია

დანია 3:0 ბოსნია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:0 | 10 |
| დანია | 4 | 3 | 0 | 1 | 13:3 | 9 |
| ბოსნია | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | 7 |
| რუმინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:17 | 0 |

### III ჯგუფი

ჩეხეთი 3:1 ავსტრია

მოლდოვა 2:2 ჰოლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ბელარუსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ჰოლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

### IV ჯგუფი

პოლონეთი 7:0 სან მარინო

უნგრეთი 5:2 შვედეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 18:3 | 12 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 11:7 | 6 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 2:18 | 0 |

### V ჯგუფი

ლიტვა 2:1 შოტლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ლიტვა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

### VI ჯგუფი

ესპანეთი 5:0 სომხეთი

ჩრდ. ირლანდია 2:6 საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 10 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:1 | 7 |
| უკრაინა | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| სომხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | 1 |

### VII ჯგუფი

ინგლისი 1:1 თურქეთი

ინგლისელმა ფრენსის ჯეფერსმა ახალგაზრდულ ნაკრებში თავისი მე-13 გოლი გაიტანა და თავის დროზე ალან შირერის მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა

სლოვაკეთი 0:2 პორტუგალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 10 |
| პორტუგალია | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 9 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:6 | 7 |
| სლოვაკეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| მაკედონია | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

### VIII ჯგუფი

ესტონეთი 1:1 ბულგარეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |





შვეიცარიელთა მეორე გოლი ზურაბ მამალაძის კარში













# ნაკრები ქვეყნისაა!

## ვისაც ნაკრებთან ეშლება, ქვეყანასთან ეშლება

დღეიდან საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი აღარ ჰყავს.

გუნდი რომ შემოდგომამდე ისვენებ-დეს, ალექსანდრე ჩივაძის შემცვლელის პოვნა უფრო დადინჯებით მოხერხდებოდა, მაგრამ დრო ცოტაა: უშნოდაა გამოჩხერილი გადადებული თამაში რუსეთთან, რომელსაც უბრალო თამაშის გარდა ათასი რამ ახლავს თან და საძნელო რამედ გამოიყურება, თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრები განახლებას დააპირებს.

რუსეთთან თამაშს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მნიშვნელობა, თუ მას ნაკრები სწორედ რომ განახლების გზაზე შემდგარი შეხვდება.

ძნელი სათქმელია, რა მოესწრება დარჩენილ ოციოდ დღეში, რადგან თუ ნაკრები რუსეთთან განახლებული იერით მაინც უნდა წარდგეს, მაშინ ბრძნული და მომგებიანი გადაწყვეტილება ახალი მესაჭის შესახებ უკვე ამ დღეებშია მისაღები.

ვინ იქნება ეს კაცი?

ქართველი თუ უცხოელი?

ერთი ის ვიცით, რომ ნაკრებმა ნამდვილი ფეხბურთი უნდა ითამაშოს და ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. წარსული გამოცდილება გუნდს დასავიწყებელი აქვს, რადგან ეს გამოცდილება დიდად არაფრად გამოადგება. ნიშანდობლივი ის არის, რომ სწორედ ამ დღეებში ნაკრებს მისი საში ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი გამოეთხოვა.

ახლა ძნელია თქმა, ყველაფრის თავიდან დაწყებას ხისტი მოძრაობა სჭირდება თუ ფეხაკრეფილი ნაბიჯი. თუ საქართველო უცხოელს იპოვნის, ეს სრულ რეფორმას ნიშნავს, თუ ქართველს, აქ ბევრი რამის ლოდინი მოგვიწევს.

ნაკრები უბრალოდ გუნდი არ არის, ყველგან და ყოველთვის ის სამშობლოს გამოხატავს. ეგებ ცოტა სხვაგვარი გზებით, მაგრამ გამოხატავს. ნაკრები ყველასია და მასზე ლაპარაკის უფლება ყველას აქვს. ნაკრების მწვრთნელიც ის კაცი უნდა იყოს, ვინც იცის, რომ ყველას შეუძლია მისი ქუჩაში გაჩერება და პასუხის მოთხოვნა ნაირგვარ შეკითხვებზე. ნაკრების მწვრთნელი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი კაცი, ან ჩვეულებრივი მწვრთნელი. ამასთანავე, აუცილებელი არ არის, რომ ის იმ ქვეყნის შვილი იყოს, რომლის ნაკრებსაც წვრთნის. როცა ავსტრიელი ჰოლანდიის ნაკრებს წვრთნის, შვედი ინგლისისას, ინგლისელი კი ირლანდიისას, ეს გულისხმობს, რომ ისინი იმდენად არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომ იოლად შეითვისებენ გასაწვრთნელი ნაკრების ყოველ მარცვალსაც კი.

ნაკრები ეროვნული კულტურაა და ის ერებისთვის კულტადაც იქცევა ხოლმე. გულშემატკივრები სწორედ ნაკრების გარშემო ერთიანდებიან ხოლმე. ეროვნული საფეხბურთო იდეა სწორედ ნაკრებია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

ეს ქვეყანა მოუწყობელი და ღატაკი ქვეყანაა. იტყვიან ხოლმე, როგორებიც ვართ, ისეთები გვყავსო. მაგრამ საქართველოს სათამაშო სპორტებში მაინც იწყება ნამდვილ გზებზე სიარული. საკვირველია, რომ ფეხბურთი ბოლო ვაგონად არის ამ საქმეში და ის ვაგონიც ჯერ არ ჩაბმია ნამდვილ საფეხბურთო სამყაროს. ამიტომაც არის, რომ ნაკრები თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ შორდებოდა ხალხს.

ხალხი არსებობს ნაკრების გარეშე, მაგრამ ნაკრები ვერ იარსებებს ხალხის გარეშე, რადგან ჯერ არსად არსებულა თამაში, ხალხისთვის რომ არ იყოს. ამ უბედურების წამლობა ჩვენში ბევრად იოლია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. საკმარისია ერთი პატარა ნაბიჯი წინ და ხალხი გულში იკრავს თავის სიხარულს, გუნდს, რომელიც უნდა გამოხატავდეს ქვეყნის ხასიათს, მის იერსა და ჯიგარს. რომელი ტომისაც არ უნდა იყოს ნაკრების მწვრთნელი, თუ ის მართლა მწვრთნელია, ნაკრებს ეროვნული ფეხბურთის თავისებურებებს ვერ წაართმევს. ის საუკეთესოს ამოარჩევს ჩვენი ფეხბურთიდან, შეაზავებს ნამდვილ ფეხბურთთან და მერე არავინ მოსთხოვს გუნდს, გინდა თუ არა მოიგეო. ერთად მოვიგოთ და ერთად წავაგოთო, ასეთია ნამდვილი ფეხბურთის და გულშემატკივრების ურთიერთობა.

იმიტომ, რომ ასეთია ნამდვილი ფეხბურთი და ასეა ხოლმე, როცა ნაკრები გყავს.

რუსეთისთვის, აბა, რა მოესწრებაო, ამბობენ და ერთგვარად მართალიც არის, მაგრამ უკეთესია, რამდენიც მოესწრება, იმდენი მოესწროს, მთავარია, რომ ნამდვილი იყოს და თვალშისაცემი.

თუმცა, აქამდელი გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ფეხბურთის უფროსობა არასოდეს ჩქარობდა ხოლმე ამგვარი საკითხების გადაწყვეტისას და ყველაფერს რბილად აკეთებდა. ამ სირბილესა და მერყეობაში კი ჩალბა საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში, რომელიც მინდორზე გამოჩენის დღიდან იგებს მხოლოდ იმას, რაც სხვას არ სჭირდება. თამაში კი იმისია, რომ აილო ის, რაც შენც გჭირდება და სხვასაც.

ვის დანიშნავენ?

სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რადგან დანიშვნა შეიცავს პასუხებსაც.

**ირაკლი გამყრელიძე**

# უსაფრთხოება

## ინგლისური ყველამ უნდა ისწავლოს

*კვირას, „ეროვნულზე“, სარაგბო მატჩის შემდეგ ასეთ სცენას შევესწარი: პოლიციელი 12-13 წლის ბავშვს მისდევდა, დაენია და დაუნდობლად დაუწყო ცემა. ბავშვი ეხვეწებოდა, ბიძია, ნუ მცემ, მეტს აღარ ვიზამო. პოლიციელმა მუშტების ქნევას უმატა. კიდევ კარგი, ბავშვს ხალხი გამოექომაგა. პოლიციელმაც, აქეთ არ მომიტრიალდნენო და იქაურობას ბუზღუნით გაეცალა. შორიახლოს მდგარი სხვა პოლიციელები კი კოლეგას ამართლებდნენ: ამ ბავშვმა ბოთლი ისროლა და უნდა ეცემა, აბა, რა უნდა ექნაო. სამწუხაროა, რომ ქართულ პოლიციას არსენალში ცემის გარდა სხვა მეთოდები არ გააჩნია და სრულებითაც არ ადარდებს, რომ ეს მეთოდი, ზნეობას თავი დავანებოთ და, შედეგსაც არ იძლევა.*

*ქვემოთ საფეხბურთო ხულიგნებთან ბრძოლის ინგლისურ მეთოდებზე მოგითხრობთ და ერთი კონკრეტული თამაშის, პრემიერლიგის ბოლო ტურის, „ლივერპული“ — „ლიდსის“ მაგალითს გავარჩევთ.*




ინგლისელი საფეხბურთო ხულიგანი: 18-დან 45 წლამდე ასაკის თეთრკანიანი მამაკაცი. აქვს დაბალანაზღაურებადი სამსახური ან უმუშევარია. აქვს პრობლემები ოჯახში, გამომწვევად იცვამს და ლოთობს

**ჯედ პეიტონი** „ენფილდის“ უფროსი მენეჯერია, თუ სტადიონზე რამე მოხდა, სასამართლოში მას მოუწევს პასუხის გაცემა. „ლივერპულის“ თამაშისას, პეიტონი 1400 კაცის საქმიანობას ხელმძღვანელობს. ამ 1400 თანამშრომელში შედიან: 500 სტიუარტი, სენდვიჩებისა 400 და გამაგრილებელი სასმელების გამყიდველი, ბილეთების 100 შემმოწმებელი, ავტოსადგომის 35 მეთვალყურე, 35 სეკიურითი, რომლებიც სამსახურებრივ გასასვლელებს აკონტროლებენ, 40 ექიმი, რომლებიც სტადიონის ოთხ სამედიცინო პუნქტში და სამ სასწრაფო დახმარების მანქანაში ელოდებიან პაციენტებს, დანარჩენები კი მეხანძრეები, ელექტრიკოსები და ათასი ჯურის მოხელეები არიან.

პეიტონის განკარგულებაში მყოფი მთავარი ხალხი სტიუარტები არიან. ესენი გახლავან ქალები და კაცები 18-დან 65 წლამდე ასაკისა. სტიუარტობა მათი ძირითადი სამუშაო არ არის და ამ სამუშაოს მისაღებად სპეციალური სამდღიანი კურსები აქვთ გავლილი. რიგითი სტიუარტი ერთი მატჩისას 25 გირვანქას იღებს — ეს იმავ „ენფილდზე“ ერთი იაფი ბილეთის ფასია. უფროსი სტიუარტი 100 გირვანქამდე იღებს, ხოლო მათ, ვინც მატჩების 80 პროცენტს მოემსახურება, „ლივერპული“ ანაზღაურებად შვებულებასაც აძლევს. ჯამში „ლივერპულს“ ერთ მატჩში სტიუარტების ხელფასი 11 ათასი გირვანქა უჯდება. კლუბი ცალკე ისტუმრებს პოლიციის ხარჯებს, ოღონდ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

„ენფილდის“ სტიუარტების ოთხი ფერის ქურთუკები აცვიათ: ნარინჯისფერები ხალხს აკონტროლებენ; ყვითლებსაც იგივე ფუნქციები აქვთ, ოღონდ ამ კატეგორიის სტიუარტებს ჯიბეში მეხანძრის დიპლომიც უდევთ; ყვითელ-წითლები უფროსი სტიუარტები არიან, ხოლო მწვანეები სხვა სტიუარტების მუშაობას აკონტროლებენ.

სტიუარტის მთავარი ფუნქცია მაყურებლის გვერდით ყოფნაა — სტადიონის ტერიტორიაზე შემოსვლიდან, გასვლამდე. მაყურებელი ერთი წუთითაც არ რჩება მეთვალყურეობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სტიუარტზე 100-200 ქომაგი მოდის. სტიუარტები რაციებით არიან შეიარაღებულნი და მოედნისკენ გახედვა ეკრძალებათ.

სტიუარტებისა და პოლიციელების მუშაობის მთავარ პრინციპს ინგლისელები სამი F-ის წესს ეძახიან: FINN, FAIR, FRIENDLY — სიმტკიცე, სამართლიანობა, მეგობრული განწყობა. გაულიმეთ გულშემატკივარს, დაინახეთ, რომ მასში ადამიანს ხედავთ და არა ბრბოს ელემენტს — ასწავლიან სტიუარტებს — გადაულაპარაკეთ, თქვენდამი მშვიდობიანად განაწყვეთ, მაგრამ მის ჭკუაზე არასდროს გაიაროთ, სიტუაცია უემოციოდ და ობიექტურად შეაფასეთ.

სტიუარტს სტადიონის შესასვლელში ვინმე თუ არ მოეწონა, უფლება აქვს გაჩხრიკოს, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ძალაც გამოიყენოს. მაგრამ რა ხდება: ყოველი ინციდენტი შესაძლოა, მოგვიანებით სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოში გაირჩეს და სტიუარტსაც ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს, რომ ძალის გამოყენება აუცილებელი იყო.

მაგრამ რაც გინდა იყოს, სტადიონზე მისული ქომაგები რიცხობრივად ბევრად აღემატებიან წესრიგის დამცველებს. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ინგლისურ სტადიონებზე აღარ ხდება ისეთი რამეები, როგორც, ვთქვათ, 1989 წელს, ასოციაციის თასის ნახევარფინალში, შეფილდის „ჰილსბროზე“ მოხდა. მაშინ არეულობებმა ჭყლეტვა გამოიწვია და 96 კაცი დაიღუპა. „ეიზელის“ სისხლიანი ფინალიც შეგვეძლო გაგვეხსენებინა. რამ დაამშვიდა გადარეული ქომაგები? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: შიშმა? მაგრამ რის შიშმა? საფეხბურთო ხულიგნებს დღემდე არ ეშინიათ პოლიციელის ხელკეტის, მაგრამ კანკალებენ, როცა იციან, რომ მათ სამუდამოდ შეიძლება აუკრძალონ სტადიონზე შესვლა და რაც მთავარია: მათ იციან, რომ სასჯელი გარდაუვალი იქნება! მათ იციან, რომ სტიუარტისა და პოლიციელის თვალს არაფერი გამოეპარება!

ინგლისელ ქომაგთა დაახლოებით ნახევარი სტადიონებზე სეზონური აბონემენტით დადის. ისინი ერთსა და იმავე ადგილზე სხედან და რამე თუ მიქარეს, ვინაობის დადგენა უიოლესი საქმეა. მაგრამ დანარჩენები? მათთვის გადაცმული დეტექტივები და ვიდეოკამერები არსებობენ. „ენფილდზე“ 53 კამერაა დამონტაჟებული. არიან ინფორმატორებიც. ფეხბურთის ასოციაციის უსაფრთხოების მთავარი მრჩეველი დუგ ჰოპკინსი ყვება: თუ პოლიციასთან შეხება გაქვთ, გეცოდინებათ, რომ ინფორმატორების ინსტიტუტს დიდი გასავალი აქვს. ზოგიერთ მათგანს პოლიცია ფულს უხდის, ზოგი შიშის გამო იძლევა ცნობებს, ზოგიც მოხალისეა. ყოველი მატჩის შემდეგ ისინი პოლიციაში სრული ანგარიშით მიდიან. ცხადია, ინფორმატორები მხოლოდ სტადიონზე არ მუშაობენ, ისინი წინასწარ გვაცნობებენ, თუ ქომაგთა ერთმა ჯგუფმა რამე დაგეგმა:

შიშის თაობაზე კი პეიტონმა დასძინა: „უამრავ თავზეხელაღებულ ფანს ვიცნობს, რომლებიც სიცილით ისმენენ სასამართლოს განაჩენს, მაგრამ როცა მათ აბონემენტს ართმევენ და კლუბის წევრობიდან რიცხავენ, მუხლებზე ეცემიან და ბღავილს იწყებენ“.

დაპირებისამებრ პოლიციაზეც ვთქვათ. „ლივერპულის“ საშინაო მატჩს 60 პოლიციელი ემსახურება, რაც კლუბს 12 ათასი გირვანქა უჯდება. რიგითი პოლიციელი ერთ საათში 33 გირვანქას იღებს და ჯამში დაახლოებით 130 გირვანქა გამოსდის. კონსტებლი 350 გირვანქას გამოიმუშავებს. ამ 60 პოლიციელის გარდა კიდევ 70 კაცი „ენფილდის“ გარეთ მორიგეობს, მათგან 14 ცხენზეა ამხედრებული და ქომაგთა დიდი ჯგუფების დაშლით არიან დაკავებული. კიდევ 15 პოლიციელი რეზერვშია.

სხვათა შორის, პოლიციას საქმე ძალიან რომ არ გაურთულდეს, „ლივერპული“ და „ევერტონი“ საშინაო მატჩებს ერთ დღეს არასდროს ატარებენ. ამასთანავე, საფეხბურთო მატჩი დოლსაც არ უნდა დაემთხვეს.

ინგლისში მატჩები სამ კატეგორიადაა დაყოფილი — შესაძლო გართულებების მიხედვით. როცა „ლივერპული“ „ლიდსს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ვესტ ჰემს“ და „ევერტონს“ ხვდება, ეს უმაღლესი რისკის მატჩებია, ხოლო როცა, ვთქვათ, „ენფილდზე“ „ჩარლტონი“, „ფულემი“ და „საუთჰემპტონი“ თამაშობენ, პოლიცია მშვიდადაა.

დევიდ ლუისი ლივერპულის პოლიციის სუპერინტენდანტია (იქაურ იერარქიაში მესამე კაცი) და მატჩებს მისი რაზმი ემსახურება. „ლიდსთან“ მატჩის წინ ის განსაკუთრებულად ფრთხილად იყო, თუმცა არ ეშინოდა: წინა დღეს მასთან ლიდსელი დეტექტივები მივიდნენ და შეატყობინეს, 67 ხულიგანი გამომგზავრებამდე დავიჭირეთ. ისე, ქომაგებით გატენილი ავტობუსების მძღოლებიც პოლიციის ინფორმატორები არიან.

ჰო, ინგლისში მატჩების დაწყების დრო პოლიციასთან შეთანხმებით ინიშნება. რაკი „ლივერპული“ — „ლიდსი“ უმაღლესი კატეგორიის სარისკო თამაშია, ლუისმა მოითხოვა, რომ დღის 14 საათზე დაწყებულიყო.

დილას, „ენფილდის“ ერთ-ერთ დარბაზში სტიუარტების შეკრება გაიმართა. „წინა თამაშზე — თქვა უფროსმა სტიუარტმა — ზედა იარუსში 13 წლის ნასვამი გოგონა დაბოდიალობდა. მასთან კი არავინ მისულა. ასეთი რამ მეორედ აღარ განმეორდეს. შეიძლება ვილაცეებმა ანტისაომარი დემონსტრაციის მოწყობაც განიზრახოს და ყურადღებით იყავით. ლიდსელთა შეტევისას ყურადღება მიაქციეთ, ვინმემ შეტევის ჩასაშლელად ტრიბუნიდან მეორე ბურთი არ ისროლოს“.

„ენფილდზე“ 87 შესასვლელია. სტადიონზე წუთში 1200 კაცი შედის. თითოეული შესასვლელი უნიკალურ მოწყობილობას წარმოადგენს. მებილეთე ბილეთს ყუას აზევს და ფეხს პედალს აჭერს — ტურნიკეტი იხსნება და მაყურებელი შედის. სპეციალური აპარატი ტურნიკეტის ძალების რაოდენობას ითვლის. როცა რომელიმე შესასვლელში იმდენი მაყურებელი გაივლის, რამდენი ადგილიცაა იმ სექტორში, ტურნიკეტი ავტომატურად იბლოკება, ამიტომ სექტორში ზედმეტი ხალხის შესვლა გამორიცხულია.

| 124 აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**5 აპრილი (17.25)**

| | |
|---|---|
| 191 სპარტა | 1,4 |
| 192 სლავია | 2,2 |

**პოლონეთი.**
**5 აპრილი (18.00)**

| | |
|---|---|
| 196 ვისლა | 1,2 |
| 197 ლეგია | 3,0 |
| 198 კატოვიცე | 5,0 |
| 199 ოდრა | 7,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**4 აპრილი (22.00)**

| | |
|---|---|
| 132 ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 გალათასარაი | 2,5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**5 აპრილი (19.00)**

| | |
|---|---|
| 141 რეინჯერსი | 1,5 |
| 142 სელტიკი | 2,0 |

**დანია. სუპერლიგა**
**5 აპრილი (20.00)**

| | |
|---|---|
| 151 კოპენჰაგენი | 1,1 |
| 152 ბრიონდბიუ | 3,5 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**6 აპრილი (19.15)**

| | |
|---|---|
| 162 გრასჰოპერი | 1,3 |
| 161 ბაზელი | 2,6 |

**ჰოკეი. NHL**
**სტენლის თასი**
**7 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 201 დეტროიტი | 3,5 |
| 202 დალასი | 4,0 |
| 207 ოტავა | 5,0 |
| 203 ფილადელფია | 6,0 |
| 205 ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 206 კოლორადო | 6,5 |
| 208 ვანკუვერი | 7,0 |
| 209 სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 ტორონტო | 10,0 |
| 210 ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 მინესოტა | 25,0 |
| 204 ბოსტონი | 40,0 |
| 224 აილენდერსი | 50,0 |
| 218 ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 ედმონტონი | 50,0 |

**კალათბურთი**
**NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 231 დალასი | 3,0 |
| 232 საკრამენტო | 3,0 |
| 233 ლეიკერსი | 3,0 |
| 236 სან ანტონიო | 5,0 |
| 234 ნიუ ჯერსი | 12,0 |
| 235 ინდიანა | 12,0 |
| 241 დეტროიტი | 12,0 |
| 242 პორტლენდი | 12,0 |
| 237 ფილადელფია | 15,0 |
| 244 მინესოტა | 25,0 |
| 238 ბოსტონი | 30,0 |
| 239 ორლანდო | 50,0 |
| 240 ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 მილუოკი | 50,0 |
| 248 იუტა | 50,0 |
| 246 ფინიქსი | 75,0 |
| 250 ვაშინგტონი | 100,0 |
| 252 ნიუ იორკი | 200,0 |
| 256 გოლდენ სტ. | 500,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**9 აპრილი (21.00)**

| | |
|---|---|
| 262 ბენეტონი | 2,0 |
| 261 ბარსელონა | 2,5 |
| 264 ცსკა | 3,5 |
| 274 სიენა | 5,0 |
| 268 ოლიმპიაკოსი | 6,0 |
| 269 მაკაბი | 12,0 |
| 272 ეფესი | 12,0 |
| 270 ოლიმპია | 25,0 |
| 263 პანათინაიკოსი | 25,0 |
| 273 სკიპერი | 50,0 |
| 276 ციბონა | 100,0 |



# დოკიჩი ტოკავს, მაგრამ მაინც ატოკებს

**SARASOTA CLAY COURT CLASSIC**
**სარასოტა. თიხნარი**
**საპრიზო 140 ათასი $**
**პირველი წრე**

**პაოლა სუარესი** (არგენტინა) — ელენა დოკიჩი (1, სერბეთი და ჩერნიგორია) 6:3, 6:3; **ანასტასია მისკინა** (2, რუსეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:0, 6:3; **ენსლი კარგილი** (აშშ) — პატი შნიდერი (3, შვეიცარია) 6:4, 2:6, 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — აი სუგიამა (4, იაპონია) 6:2, 7:5; **ელენა დემენტიევა** (5, რუსეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 3:6, 6:4, 6:1; **ანა პისტოლეზი** (6, ისრაელი) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:1, 1:6, 6:2; **ნატალი დეში** (7, საფრანგეთი) — დენიზა ჩლადკოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:2; **იროდა ტულიაგანოვა** (უზბეკეთი) — ტატიანა პანოვა (8, რუსეთი) 6:3, 7:5; **ივა მაიოლი** (ხორვატია) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:4, 4:6, 6:4

ამ ისე-რა ტურნირზე რამე ეგებ მანამდე არ გვეთქვა, სანამ იქ მოპაექრე მდედრები ნახევარფინალებში არ გაივაკებდნენ. მაგრამ საქმე ისე აეწყო, რომ რამის თქმა სწორედ ახლაა საჭირო, თორემ მერე რა მოხდება, მაგან შეიძლება საერთოდაც არ დაგვაინტერესოს.

საქმე კი ის არის, რომ ტურნირს რვა განთესილიდან ოთხი პირველსავე წრეში გამოაკლდა. ამ ოთხიდან ორი შარშანდელი ფინალისტია — ჩემპიონი ელენ დოკიჩი და შარშან მისგან ძლეული რუსი ტატიანა პანოვა.

დოკიჩი ტურნირზე ჩასული ერთადერთი ზეათეულელი იყო. 19 წლის სერბგოგოს, ვინაც წლეულს მხოლოდ მეთერთმეტე მატჩი ითამაშა, სეზონის მეექვსე მარცხი 22 წლის არგენტინელმა პაოლა სუარესმა აგემა.

სუარესი ჯიშად მეთიხნარეა და საყვარელი საფარის დახმარებით იოლად შეძლო მკერდსავსე მეტოქის ილაჯისა და სისწრაფის გაუვნებლება.

შეგახსენებთ, რომ სეზონში ზედიზედ სამი მატჩის მოგება დოკიჩმა პირველად მხოლოდ მაიამიში მოახერხა, სადაც ის ოთხწაგებიანი სერიის შემდეგ ჩავიდა.

საჩოგბურთო თვალსაზრისით ის ახლა ძალიან ცუდად გამოიყურება და თუკი ქომაგთა ასაბია მაინც არ უმცირდება, ეგ ისევ მისი ჯიგრის შემტოკებელი მდედრობითი ბარაქის გამო.

სხვაფრივ — შარშანდელ ფინალისტ პანოვას უზბეკხათუნი ტულიაგანოვა მოერია, ხოლო იქ საიდანღაც გამომტყვრალი ანა კურნიკოვა მის მეხუთე საამსეზონო შეხლაში მეოთხედ გააიმასქნეს. ამის გაკეთება ამჯერად ვეტერანმა ხორვატმა ივა მაიოლიმ იკისრა.

ტურნირს ფავორიტებად დაურჩნენ რუსები — მისკინა (2) და დემენტიევა (5) და მათი ოდინდელი თანამემამულე, აწ კი ისრაელის სახელით მოჩოგნავე ანა სმაშნოვა-პისტოლეზისა.

# ბაყვბაყვდევი ხორცის დაფერთხვას ლამობს

**სერენა უილიამსმა** სეზონი ბობოქრად დაიწყო და 17-მატჩიანი წაუგებელი ბუქნაობისას სამი ტიტულიც მიითვალა.

ამ გამარჯვებათა შემდეგ მან გადაწყვიტა, თავის უზომოდ გაფაშფაშებულ სხეულსაც მიხედოს და მომავალ შეხლებს უფრო სრულყოფილ და წერწეტ ქალად შეხვდეს.

„უკვე ოთხი კვირაა, ტანვარჯიშის დარბაზში არ ვყოფილვარ — ამბობს სერენა — მწვრთნელები მაგარი დაბოღმილები არიან. რომ იცოდნენ, მათთან გარჯის მაგივრად „სნიკერსებით“ ვიტენები, ალბათ სულ გაგიჟდებოდნენ. ისე, მე თვითონაც არ ვიცი, ურეჟიმობის მიუხედავად ასეთ რიგიან ფორმას როგორ ვინარჩუნებ.“

ეს მართლაც საოცარი ამბავია.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებიან მისი კოლეგები, როცა კორტზე უფრო შემხდარსა და შემსუბუქებულს დაინახავენ.

„ის ხომ ისედაც უსწრაფესად მოძრაობს“ — ვაებს კიმ კლაისტერსი, რომელსაც ალბათ არც თავად აწყენდა დაფერთხვა და უსნიკერსობა.

მომავალ სლემტურნირამდე ორი თვეა — როლან გაროსზე პირველი ბურთი 26 მაისს უნდა გავარდეს. ამ ორ თვეში სერენა „გაძლიერებულ ვარჯიშზე“ გადასვლას გეგმავს.

„ჰო, უფრო მეტი უნდა ვივარჯიშო — ამბობს იგი — არა მგონია, ახლა საკმარისად ვვარჯიშობდე. ასე გაგრძელება კი არ შეიძლება. ვიცი, რომ ჩემი მეტოქეები შლეგებივით ემზადებიან და ადრე თუ გვიან მიმბერტყავენ კიდეც.“

სერენას კი უმთავრეს საამსეზონო მიზნად სწორედ დაუმარცხებლობა დაუსახავს.

„ჩემი პრინციპი ასეთია — გალმა შეედავე და გამოღმა შეგრჩება. ცხადია, არ ველი, რომ წელს მართლაც წაუგებლად გადავრჩები, მაგრამ ეს ჩემი მიზანია. თუკი გამოვა და — ხომ კარგი! თუ არა და, ვიტყვი, ეს შეუსრულებელი ამოცანა ყოფილა-მეთქი. ასეა თუ ისე, მიზნად ყოველთვის იმაზე მეტი უნდა დაისახო, რისი შესრულების უკანალიც რეალურად გაგაჩნია.“

მოდით, უკანალზე ნურაფერს ვიტყვით, რადგანაც ეს სერენას საკმარისზე ხვავრიელადაც აქვს.

რაც შეეხება ქალთა ამქრის ყველა დროის საუკეთესო სეზონს, ასეთად მარტინა ნავრატილოვას მიერ 1983 წელს ჩათამაშებული 87-შეხვედრიანი სერია თქმულა, რომლის დროსაც დიადმა ლესბოსელმა მეტოქეებს მხოლოდ ერთი მატჩი დაანება.






ანდრე აგასის ყველა კოცნა შტეფის წილია

# ნამაიამოზევს
## წინანი — უკან და უკანანი — წინ

**მაიამის** „მეხუთე სლემად“ წოდებული ბობოლა ტურნირის შემდეგ საქმეში ჩახედული ხალხი საამკვირაო რეიტინგსიებს დაუდარაჯდა — სეზონის ერთი მეოთხედი უკვე მიილია და ხალხსაც აინტერესებს, რა ვითარებაა ამჟამად კლასიფიკაციათა კენწეროებში.

თავადვე ხედავთ, პირველ სამ თვეში (ავსტრალიის ღია პირველობაზე, სან ხოსესა და კი ბისკეინში) მოპოვებულმა სამმა ტიტულმა ჯადო არმენოამერიკელი ანდრე აგასი უკვე 115 ქულით მიაახლოვა 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიის მეპირველე ლეიტონ ჰიუიტთან, ხოლო ჩემპიონთა რბოლაში ის სულაც 103 ქულით დააწინაურა.

ჰიუიტმა წლეულს ორი — სკოტსდეილური და ინდიანუელსური — ტიტული იშოვა და აგასის საპირველადგილო პრეტენზიათა დაოკებას ახლა ზეპურ სათიხნარო კორტებზე ეცდება.

ჩემპიონთა რბოლაში ყველაზე ზორბა ნახტომები მაიამის ნახევარფინალისტებმა — კარლოს მოიამ და პარადორნ შრიჩაფანმა და მეოთხედფინალისტმა — იუნეს ელ აინაუიმ გააკეთეს.

მაროკოელმა მგორავ რეიტინგსიაშიც აინაცვლა — 21-ე ადგილიდან ზეოცეულში ალზევდა. იქვე ორი ადგილით ზეაწია შარშანდელმა მეროლანგაროსე ალ კოსტამაც, ვინაც მაიამიში ნახევარფინალამდე გაატანა.

ზეათეულში ადგილები გააროქეს მოიამ და ფედერერმა. ფედერერმა თებერვალში ორი ტიტული კი მოიხვეჭა, მაგრამ მარტში ამერიკულ მაგარსაფარზე ხეირიანს ველარაფერს გამორჩა და მაიამიში მეოთხედფინალიდან გავარდა.

რაც შეეხება ქალთა ელიტას, ნამაიამოზევს აქ ყველაზე შესამჩნევად წინ ამერიკელებმა — ჩანდა რუბინმა და მეგენ შონესიმ წაიწიეს. მაიამიში პირველმა ნახევარფინალამდე იომა, მეორემ — მეოთხედფინალამდე. მშობლიურ კორტებზე მათ მარტში საერთოდაც რიგიანად იბურთავეს და ამიტომაც იყო, მათ შესახებ ჩვენც უფრო მეტის თქმა რომ მოგვიხდა.

სათქმელია ისიც, რომ რუბინმა ზეათეულში დანიელა ჰანტუხოვასა და ელენა დოკიჩს გადაუსწრო. სექსფეხება დანიელამ ინდიან უელსში ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლო და მერე მაიამიშიც მეორე წრიდანვე აოტეს, მკერდვიაგრა დოკიჩი კი წლეულს ერთობ უფერულად ირჯება და ასე თუ გააგრძელა, მალე ზეათეულიდან ჩასრიალებაც მოუწევს.

**ლევან ძელაურაძე**

## 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

### კაცები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 4410 |
| 2 | (2) | ანდრე აგასი (აშშ) | 4295 |
| 3 | (3) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 3135 |
| 4 | (5) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2970 |
| 5 | (4) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 2515 |
| 6 | (6) | ენდი როდიკი (აშშ) | 2430 |
| 7 | (9) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 2235 |
| 8 | (7) | მარატ საფინი (რუსეთი) | 2115 |
| 9 | (8) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1991 |
| 10 | (10) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1980 |
| 11 | (11) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1870 |
| 12 | (13) | პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 1865 |
| 13 | (12) | რაინერ შიუტლერი (გერმანია) | 1700 |
| 13 | (14) | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1700 |
| 15 | (15) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1585 |
| 16 | (17) | გილერმო კანიასი (არგენტინა) | 1510 |
| 17 | (21) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 1490 |
| 18 | (16) | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 1485 |
| 19 | (18) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1465 |
| 20 | (19) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1335 |

### ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | სერენა უილიამსი (აშშ) | 6842 |
| 2 | (2) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 4839 |
| 3 | (3) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 4585 |
| 4 | (4) | ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 3643 |
| 5 | (6) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 2911 |
| 6 | (5) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2898 |
| 7 | (7) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2689 |
| 8 | (10) | ჩანდა რუბინი (აშშ) | 2524 |
| 9 | (8) | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2479 |
| 10 | (9) | ელენა დოკიჩი (სერბ. და ჩერნ.) | 2414 |
| 11 | (11) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2216 |
| 12 | (12) | მონიკა სელეში (აშშ) | 1830 |
| 13 | (13) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1713 |
| 14 | (14) | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1624 |
| 15 | (15) | ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) | 1605 |
| 16 | (16) | ელენა ბოვინა (რუსეთი) | 1530,25 |
| 17 | (18) | აი სუგიამა (იაპონია) | 1499 |
| 18 | (17) | ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1456 |
| 19 | (22) | მეგენ შონესი (აშშ) | 1455 |
| 20 | (20) | ანა პისტოლეზი (ისრაელი) | 1399,50 |

## ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | აგასი | 336 |
| 2 | (2) | შიუტლერი | 233 |
| 3 | (3) | ფედერერი | 192 |
| 4 | (4) | ჰიუიტი | 166 |
| 5 | (5) | როდიკი | 161 |
| 6 | (6) | კუერტენი | 150 |
| 7 | (22) | მოია | 142 |
| 8 | (7) | უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) | 118 |
| 9 | (16) | ელ აინაუი | 105 |
| 10 | (29) | შრიჩაფანი | 103 |
| 11 | (8) | ფერერო | 100 |
| 12 | (19) | გილერმო კორია (არგენტინა) | 93 |
| 13 | (10) | ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) | 92 |
| 14 | (13) | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 91 |
| 14 | (9) | გროჟანი | 91 |
| 14 | (11) | ვინსენტ სპედია (აშშ) | 91 |
| 17 | (12) | ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 88 |
| 18 | (13) | მარიანო საბალეტა (არგენტინა) | 85 |
| 19 | (18) | კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 82 |
| 19 | (15) | აგუსტინ კალერი (არგენტინა) | 82 |

# საჭყუმპალაოდან დანახული მამლიანი ტორპედო



1956 წლის მსოფლიოს რეკორდსმენები თავისუფალი სტილით სხვადასხვა დისტანციაზე ცურვაში გენადი ანდროსოვი, მიურე როუზი და ბორის ნიკიტინი


მელბურნის ოლიმპიური კვარცლბეკი 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ამერიკელმა, ავსტრალიელმა და საბჭოთა სპორტსმენებმა შეავსეს. მარჯვნივ, განაპირას — ბორის ნიკიტინი

**მაშინ,** „დინამოზე" ცურვის სექციაში მოსიარულე ათი-თორმეტი წლის ბიჭები მწვრთნელის მოლოდინში აუზის კართან შეჯგუფულნი რომ ხმაურობდნენ, მოულოდნელად დაწყნარდნენ და გაირინდნენ. წამით იყურეს, მერე კი შეუმჩნევლად მუჯლუგუნები ჰკრეს ერთმანეთს და აღტაცებით, მაგრამ მოგუდულად გადაუჩურჩულეს, შეხედეთ, შეხედეთ, ნიკიტინი მოვიდა, ბორის ნიკიტინიო.

ზორბა, მხრებგანიერი და ოდნავ მოხრილი ბორის ნიკიტინი ჩანთით ხელში დინჯად და აუჩქარებლად მოდიოდა. შეჯგუფულ და აღტაცებულ ბიჭებს ასევე დინჯად რომ ჩაუარა, ახალბედა მოცურავეებს ახლა ნიკიტინის მაისურამ მოსწყვიტა თვალი — ზურგზე ვეება, ფერადი მამალი ეხატა. იმ მამალმა ეს ბიჭები ისევ აახმაურ-ააყაყანა...

იმ ბიჭებიდან ზოგმა მაშინ არც ის იცოდა, რომ ნიკიტინის მამალი საფრანგეთის სიმბოლო იყო და არც ის, რომ იგი „CCCP"-იან მაისურაში გაუცვალეს. სამაგიეროდ, ბიჭებმა იცოდნენ, ბორის ნიკიტინი არაჩვეულებრივი მოცურავე იყო და არაჩვეულებრივი მაისურა ეცვა. იმ მამალივით ყინჩად შეეძლო სიარული, მაგრამ მაინც თავმდაბალი იყო. ნიკიტინს არაჩვეულებრივ მოცურავედ იმიტომ თვლიდნენ, რომ იგი ამ სახეობაში საქართველოსთვის იყო პირველი და ერთადერთი, ვინც ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გახდა, ასევე პირველი და ერთადერთი, რომელმაც ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, კონტინენტისა და მსოფლიოს რეკორდებიც დაამყარა.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ის შეჯგუფული ბიჭები ნიკიტინს კრძალვით და რიდით შესცქეროდნენ და მასავით სწრაფად ცურვაზე ოცნებობდნენ. მათ შორის მეც ვიყავი და ის დღე გუშინდელივით მახსოვს, რადგან ნიკიტინი პირველი ცნობილი სპორტსმენი, თანაც მოცურავე იყო, რომელიც ახლოდან ვიხილე. ვიხილე კი არა, ჩვენ რომ „საჭყუმპალაოში" ცურვის ანბანს გვასწავლიდნენ, ბორის ნიკიტინი იქვე, 25-მეტრიან აუზში ტორპედოსავით სწრაფად ცურავდა, კილომეტრს-კილომეტრზე ფარავდა და ხშირ-ხშირად თვალი მისკენ გაგვირბოდა.

როცა თავად ნიკიტინი მივიდა ცურვის სექციაზე, ალბათ ისიც ჩვენსავით აღტაცებით შესცქეროდა იქ დამხვდურ ცნობილ მოცურავეებს, მასზე ათი-თორმეტი წლით უფროსები რომ იყვნენ, მაგრამ ჩვენი არ იყოს, უკვე დალვინებულ კაცებად ეჩვენებოდა. მათ შორის იყვნენ: ვლადიმერ მუსასტიკოვი, სერგო ილინი, ერნესტ მაროტი, პეტრე მშვენიერაძე, ალექსანდრ გრაბოვსკი... მართალია, ისინი მოცურავეთა მსოფლიოს ან ევროპულ სარბიელზე სახელმოხვეჭილნი არ იყვნენ, რადგან მათ ასეთ ასპარეზობებში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდათ, რაკილა საბჭოთა კავშირი საერთაშორისო წყლებს სათოფეზე არ ეკარებოდა, მაგრამ საქართველოს რეკორდებს კი პანტა-პუნტით ამყარებდნენ. ასე იყო თუ ისე, პატარა ბორის ნიკიტინმა ვალენტინ სამარინის ხელმძღვანელობით დაიწყო ვარჯიში.

მწვრთნელ-აღსაზრდელის პირველი დიდი წარმატება 1956 წელს მოვიდა. იმ წელიწადს ბორის ნიკიტინმა ათჯერ გააუმჯობესა საქართველოს რეკორდები 100, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. თუმცა, ეს რა მოსატანია, როცა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჯერ ამიერკავკასიის, მერე კი საბჭოთა კავშირის რეკორდები დაამყარა. უფრო შორს წავიდა 1500 მეტრზე, სადაც სამჯერ გააუმჯობესა ევროპის რეკორდი, 4X200 მეტრზე კი მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა.

ნიკიტინისთვის 1956 წელი გამორჩეული იყო არა მხოლოდ რეკორდების დამყარებით, არამედ იმით, რომ იმ წელიწადს იგი მოსკოვში პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. მან ამ წარმატებას 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მიაღწია (4.38,5), მერე კი იმავე სახეობაში, ოღონდ 4X200 მეტრზე ესტაფეტაში მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მელბურნის ოლიმპიურ თამაშებამდე სსრ კავშირის ცურვის ფედერაციამ მკაცრი ნორმატივები დააწესა, რაც მხოლოდ ათმა შეასრულა. მათგან ეს წინა ოლიმპიური თამაშების მონაწილეთაგან მხოლოდ ერთმა შესძლო, დებიუტანტთა შორის კი თბილისელი ბორის ნიკიტინიც მოხვდა, რომელიც იმ წელიწადს თვრამეტის გახდა.

ნიკიტინმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში, სადაც იგი სსრ კავშირისა და ევროპის ორგზის რეკორდსმენის რანგში გამოდიოდა, მოულოდნელად თავის საუკეთესო შედეგზე მთელი 12 წამით უარესად იასპარეზა და საბოლოოდ XVI ადგილი დაიკავა. თავისი რეკორდული მიღწევა (4.30,8) რომ გაემეორებინა, ამერიკელ მესამე პრიზიორ ჯონ ბრინს (4.32,5) საკმაოდ ჩამოიტოვებდა და ფოტოფინიშით იქნებ იაპონელი იამანაკასთვისაც (4.30,4) ეჯობნა.

სამაგიეროდ, 4X200 მეტრზე ცურვაში, სადაც საბჭოთა კვარტეტი (სოროკინი, სტრეჟანოვი, ნიკოლაევი, ნიკიტინი) მსოფლიოს რეკორდსმენის რანგში იყო, ნიკიტინმა თავდაუზოგავად გაცურა. ნიკიტინი, როგორც საბჭოთა კვარტეტში საუკეთესო, ბოლო ეტაპზე გამოდიოდა. მან აქ თანაგუნდელთაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე სწრაფად იცურა (2.06,7) და ბრინჯაოს მოპოვებაში და ევროპის რეკორდის დამყარებაში ლომის წილი დაიდო.

ეს ბრინჯაო, ხარის იუნიჩევის ასეთსავე ჯილდოსთან ერთად, პირველი ოლიმპიური მედალი იყო საბჭოთა ცურვის ისტორიაში. იმავე ისტორიაში ბორის ნიკიტინი, სხვა რვა მოცურავესთან ერთად, არის პირველი, ვინც ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს მოხდა 1958 წელს ბუდაპეშტში, სადაც IX ჩემპიონატში მოცურავეთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი. 24 ქვეყნის 400 სპორტსმენს შორის 48 საბჭოელი იყო, რომლებიც ევროპულ მარაქაში წინა ჩემპიონატში გაერივნენ, მაგრამ იქიდან შინ უოქროოდ დაბრუნდნენ, ახლა კი ერთბაშად ცხრა კაცმა გაიმარჯვა. თანაც, საბჭოთა ვაჟთა გუნდმა „ევროპის თასიც" მოიგო, ამ წარმატებაში კი თავისი ყველაზე დიდი წვლილი კონოპლევთან და ბარბიერთან ერთად ბორის ნიკიტინმა შეიტანა, რომელმაც მათსავით თითო ვერცხლისა და ოქროს მედალი მოიპოვა. მაშინ ნიკიტინი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მხოლოდ ინგლისელ ბლეკს ჩამორჩა და ვერცხლის მედალი მოიპოვა, 4X200 მეტრზე იმავე სახეობაში კი ჩემპიონი გახდა. აქ საბჭოთა კვარტეტი მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა როცა მეორე პრიზიორ იტალიელებს 33 წამით აჯობა.

იმავე წელს ბორის ნიკიტინი მოსკოვში თავისუფალი სტილით ცურვაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროსა (400 მეტრზე) და ბრინჯაოს (1500) მედლებს დაეუფლა, 800 მეტრზე კი თავისივე საკავშირო რეკორდიც გააუმჯობესა (9.32,8)

თბილისელი მოცურავისთვის უნაყოფო არც წინა, 1957 წელი იყო. იმ წელიწადს მოსკოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ერთბაშად ორი ოქროს მედალი მოიპოვა, როცა ჯერ 400, მერე 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უახლოესი მდევრებიც კი საკმაოდ ჩამოიტოვა. ამასთან, 400 მეტრიან დისტანციაზე ევროპის რეკორდიც (4.30,1) დაამყარა. იმავე წელს მოსკოვში 1500 მეტრზე და 4X200 მეტრზე ესტაფეტაში ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი გახდა. ამასთან, 1500 მეტრზე ევროპის რეკორდი (18.25,2) დაამყარა და „გზად" 800-მეტრიან მონაკვეთზე საკავშირო რეკორდიც (9.32,8) გააუმჯობესა.

საკავშირო ჩემპიონატებში წარმატებათა სერია 1959-60 წლებშიც გაგრძელდა, როცა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კვლავ ოქროს მედლები მოიპოვა. თავისი კარიერის მიწურულს ამ სახეობის აღიარებული დინამოელი ლიდერი არმიელთა სპორტკლუბში გადაბარგდა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც დაოსტატდა, რაშიც 1962 წლამდე საკავშირო ჩემპიონატები არ იმართებოდა, თუმცა 1954 წლიდან რეკორდში კი აღირიცხებოდა. აქ ნიკიტინმა 1962 წელს გააუმჯობესა მოსკოველი ვლადიმერ სტრუჟანოვის შედეგი, რომელიც 1957 წელს მსოფლიოს რეკორდი იყო (5.12,9). ნიკიტინმა მაშინ 5.12,6 წამში გაცურა დისტანცია, მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ საკავშირო რეკორდისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ნიკიტინმა სულ მალე ეს საკავშირო რეკორდიც გააუმჯობესა და რამდენიმე დღეში ევროპის რეკორდიც დაამყარა (5.06,9). მომდევნო წელს ამ სახეობაში საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოსაც გამოჰკრა ხელი. იმავე შეჯიბრებაში თავის თბილისელ თანაგუნდელებთან ბორის კამენსკისთან, ალექსანდრე ტუტაკაევთან და იგორ გიორგობიანთან ერთად 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაშიც ბრინჯაოს დაეუფლა. იგი სწორედ ამ ბრინჯაოებით გამოემშვიდობა დიდ სპორტს, რამაც მას სსრ კავშირის თხუთმეტი რეკორდი მოუტანა, რომელთაგან ექვსი ევროპის, ერთი კი მსოფლიოსიც იყო. მის ნადავლში, საერთო ჯამში, საკავშირო ჩემპიონატების ექვსი ოქროს და ორი ბრინჯაოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ორი ოქროს, ევროპის ჩემპიონატების თითო ოქროსა და ვერცხლის, ოლიმპიური თამაშების ერთი ბრინჯაოს მედალი იყო.

სამწუხაროდ, ბორის ნიკიტინი 1984 წელს თვითმკვლელობით აღესრულა, მაგრამ მისი სახელი საქართველოს ცურვის ისტორიაში სამუდამოდ დარჩა.

ზემოთ ვთქვით, ნიკიტინი საქართველოსთვის იყო პირველი და ერთადერთი, ვინც ოლიმპიური მედალი მოიპოვაო. მას შემდეგ სადაცაა ნახევარი საუკუნე შესრულდება, მაგრამ ნიკიტინი, სამწუხაროდ, საქართველოსთვის კვლავ ერთადერთ ოლიმპიურ პრიზიორად და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენად რჩება.

**ავთანდილ გურასპიშვილი**

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# რეინჯერსი საქმეს ბოლოდან იწყებს

1 აპრილი

**აილენდერსი 2:2 რეინჯერსი**

**1:0 0:0 1:2 0:0**

**1:0 ემამი (19), 2:0 იაშინი (42), 2:1 ლიჩი (45), 2:2 კოვალიოვი (57)**

„რეინჯერსმა" მადლობა უნდა უთხრას თავის უმცროს ძმას, „აილენდერსს", რომელმაც მისი იმედები საბოლოოდ არ დაასამარა. „გადავრჩით, ჯერ კიდევ შეგვრჩა მცირე შანსი. ახლა სერიოზულად უნდა მოვკიდოთ საქმეს ხელი" — მატჩის შემდეგ შვებით ამოისუნთქა რეინჯერსელმა ბობი ჰოლიკმა.

„აილენდერსს" ეს შეხვედრა რომ მოეგო, პლეი ოფს დაიბევებდა, მაგრამ ორი პერიოდის განმავლობაში მასპინძლები ნამდვილად სჯობდნენ მეტოქეს. ამიტომ როცა მათ შორის საუკეთესომ, ალექსეი იაშინმა ( ბოლო ხანს რუსი აშკარად გამოცოცხლდა) ანგარიში ორამდე გაზარდა, ყველას საქმე მოთავებული ეგონა, მაგრამ ამის შემდეგ აილენდერსელებს ხელ-ფეხი აუკანკალდათ (თუ მეტოქე შეიბრალეს) და „რეინჯერსს" გადარჩენის შანსი უბოძეს. მცველმა უხეში შეცდომის შემდეგ ალექსეი კოვალიოვი კართან მარტოდმარტო დარჩა და ანგარიში გაათანაბრა. ოვერტაიმში მასპინძლები ძალიან ეცადნენ, მაგრამ ველარაფერი მოახერხეს, საპლეიოფო საგზური კვლავ გამოეცალათ ხელიდან. ისე, ფრე „აილენდერსს" უფრო ძლევს ხელს, რადგან კიდევ სამი თამაში აქვს ჩასატარებელი, „რეინჯერსს" კი — ორი და სამტულიანი დისტანცია ისევ რჩება.

**სამველ ლარიბიანი**

**ოტავა 3:2 ბოსტონი 2:2 1:0 0:0**

**0:1 ლაპოინტი (3), 1:1 ჰოსა (10), 1:2 მიურეი (11), 2:2 ჰოსა (19), 3:2 ჰავლატი (24)**

**ფილადელფია 4:0 კოლუმბუსი**

**1:0 1:0 2:0**

**1:0 იუნსონი (10), 2:0 რენიკი (29), 3:0 რეკი (45), 4:0 სომიკი (57)**

**ვაშინგტონი 3:0 ფლორიდა 1:0 0:0 2:0**

**1:0 გონჩარი (12), 2:0 ნიულანდერი (36), 3:0 ლანგი (39)**

**ნიუ ჯერსი 2:3 ტორონტო**

**1:2 1:0 0:0 0:1**

**0:1 ბელაკი (3), 0:2 სუნდინი (6), 1:2 ფრიზენი (10), 2:2 ლანგენბრუნერი (33), 2:3 კაბერლე (63)**

**ნეშვილი 1:2 ანაჰაიმი**

**0:0 1:1 0:0 0:1**

**0:1 ტომასი (29), 1:1 ჰარტნელი (15), 1:2 ტომასი (65)**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 80 | 50 | 8 | 1 | 21 | 255:180 | 109 |
| ნიუ ჯერსი | 79 | 45 | 8 | 6 | 20 | 211:162 | 104 |
| ტამპა | 79 | 35 | 16 | 5 | 23 | 214:199 | 91 |
| ფილადელფია | 80 | 43 | 13 | 4 | 20 | 201:163 | 103 |
| ტორონტო | 80 | 43 | 7 | 3 | 27 | 233:204 | 96 |
| ვაშინგტონი | 80 | 38 | 8 | 6 | 28 | 218:212 | 90 |
| ბოსტონი | 80 | 35 | 10 | 4 | 31 | 236:231 | 84 |
| აილენდერსი | 79 | 34 | 11 | 2 | 32 | 218:222 | 81 |
| რეინჯერსი | 80 | 32 | 10 | 4 | 34 | 205:224 | 78 |
| მონრეალი | 80 | 29 | 8 | 9 | 34 | 200:228 | 75 |
| ატლანტა | 79 | 29 | 7 | 5 | 38 | 214:276 | 70 |
| ბუფალო | 79 | 26 | 9 | 8 | 36 | 179:206 | 69 |
| ფლორიდა | 80 | 23 | 13 | 9 | 35 | 170:230 | 68 |
| პიტსბურგი | 80 | 26 | 6 | 5 | 43 | 183:248 | 63 |
| კაროლინა | 79 | 22 | 11 | 6 | 40 | 167:231 | 61 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 80 | 44 | 15 | 4 | 17 | 241:168 | 107 |
| დეტროიტი | 79 | 47 | 9 | 3 | 20 | 256:192 | 106 |
| ვანკუვერი | 80 | 45 | 12 | 1 | 22 | 261:203 | 103 |
| კოლორადო | 79 | 40 | 13 | 8 | 18 | 239:184 | 101 |
| სენტ ლუისი | 79 | 41 | 10 | 6 | 22 | 245:209 | 98 |
| ანაჰაიმი | 80 | 40 | 9 | 5 | 26 | 199:187 | 94 |
| მინესოტა | 79 | 41 | 10 | 1 | 27 | 193:170 | 93 |
| ედმონტონი | 80 | 36 | 10 | 9 | 25 | 227:223 | 91 |
| ფინიქსი | 79 | 30 | 9 | 5 | 35 | 197:224 | 74 |
| ჩიკაგო | 79 | 28 | 12 | 6 | 33 | 195:217 | 74 |
| ნეშვილი | 80 | 27 | 13 | 7 | 33 | 183:203 | 74 |
| ლოს ანჯელესი | 79 | 31 | 6 | 5 | 37 | 195:216 | 73 |
| სან ხოსე | 79 | 28 | 6 | 8 | 37 | 206:231 | 70 |
| კალგარი | 79 | 27 | 12 | 4 | 36 | 178:224 | 70 |
| კოლუმბუსი | 79 | 28 | 7 | 3 | 41 | 202:254 | 66 |

*შრიფტით გამორჩეული გუნდები პლეი ოფში გავიდნენ*

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




დეტროიტელ ჰუბერტ დევისს (№44) ბურთი არ ეთმობა

# დამშვიდდით, თქვენ დენვერს ეთამაშებით

1 აპრილი

**ფინიქსი 95:65 დენვერი**

ფინიქსი: მარბერი (6), ჰარდევეი (12), მარიონი (33), სტუდემაიერი (16), ს. უილიამსი (2); გულიოტა (8), ჯონსონი (6), აუთლოო (4), ვოსკული (4), ჯეკობსენი (2), ლანი (2)

დენვერი: ლ. ჰარინგტონი, ვაიტი (8), ცქიტიშვილი (30 წუთი, 10 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ჰოვარდი (6), ილარიო (10 ქულა, 11 მოხსნა); კემბი (10), სავოვიჩი (9), ჰარვი (6 ქულა, 10 მოხსნა), ს. უილიამსი (3), ტრეპეჯნერი (3), ა. ჰარინგტონი, ანდერსენი

**ინდიანა 98:103 საკრამენტო**

ინდიანა: ონილი (24 ქულა, 10 მოხსნა), არტესტი (23)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (26), ვებერი (22 ქულა, 14 მოხსნა)

**დალასი 95:86 ნიუ ორლეანი**

დალასი: ნოვიცკი (30 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (17)

ნიუ ორლეანი: დევისი (18)

**სან ანტონიო 118:105 ორლანდო**

სან ანტონიო: დანკანი (20), ბოუენი (16)

ორლანდო: მაკგრეიდი (30 ქულა, 10 მოხსნა), გუდენი (19), კემპი (17)

**ტორონტო 85:92 დეტროიტი**

ტორონტო: ლენარდი (21), კარტერი (20)

დეტროიტი: ჰამილტონი (20), უილიამსონი (19), ვოლესი (6 ქულა, 20 მოხსნა)

**ჩიკაგო 94:101 სიეტლი**

ძირითადი დრო: 87:87

ჩიკაგო: კარი (28 ქულა, 15 მოხსნა), კროუფორდი (25)

სიეტლი: ალენი (26 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), ლუისი (26)

**კლიპერსი 89:94 იუტა**

კლიპერსი: მეჯიტი (23), პიატკოვსკი (18)

იუტა: მელოუნი (25), ჰარპრინგი (17)

**პორტლენდი 100:86 გოლდენ სტეიტი**

პორტლენდი: ანდერსონი (21),ველსი (17)

გოლდენ სტეიტი: მერფი (22 ქულა, 10 მოხსნა), რიჩარდსონი (18)

ნიკა ცქიტიშვილმა 10 ქულით დაასრულა „ფინიქს სანზთან“ შეხვედრა. მასზე მეტი დენვერელთაგან არავის მოუგროვდა, ხოლო ამდენივე მოიხვეჭეს ნენე ილარიომ და მარკუს კემბიმ, მთლიანად „დენვერი“ კი მხოლოდ 65 ქულას დასჯერდა და რაღა გასაკვირია, რომ განადგურდა.

„ფინიქსი“ თამაშის დაწყებამდე თავს არცთუ მშვიდად გრძნობდა, რაკი ამ უღღეური მეტოქისგან დიდი წინააღმდეგობა ახსოვს. „ეს გუნდი მთელი სეზონი ბევრ პრობლემებს გვიქმნიდა და ახლა ბედნიერი ვარ, რომ მას ასე იოლად დავუძვერით. ჩვენ ბოლომდე შევინარჩუნეთ აგრესია დაცვაში და მუდამ დისტანციაზე ვამყოფებდით მათ, რის გამოც სერიოზული წინააღმდეგობის სურვილი თავიდანვე მოვუკალით“ — ამბობდა „ფინიქსის“ თავკაცი ფრენკ ჯონსონი.

ჯონსონის დარი კმაყოფილების ნასახი არ იგრძნობა მისი დენვერელი კოლეგის, ჯეფ ბზდელიკის ნამატჩევ ნაუბარში, არადა ცნობილია, რომ ჯეფი არც ისე მგრძნობიარეა მარცხების მიმართ. „ერთობ დამთრგუნავი წაგება იყო. ჩვენ ანტიკალათბურთი ვითამაშეთ, საშინლად ვესროდით...“ მისმა „ნაგიტსმა“ თამაშიდან მხოლოდ 20 სროლა ჩააგდო და ამ სეზონის საყოველთაო ანტირეკორდსაც დაეპატრონა.

რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილს, მან სამი სამქულიანითა და ორი საჯარიმო სროლიდან ერთის გამოყენებით საიმამატჩო მონაგარი 10 ქულამდე დაამრგვალა, რაც ზემოთაც გითხარით. ნიკა მონდომებით ირჯებოდა დაცვაშიც — ექვსი ბურთი მოხსნა და ერთიც ჩაჭრა, თუმც ყმაწვილი ქართველი მაინც ვერას გახდა „ფინიქსის“ მოძრავ ფორვარდებთან, თავის კბილა ამარე სტუდემაიერთან და უფრო გამოცდილ შონ მარიონთან. პირველმა „დენვერს“ 16 ქულა ჩაუგდო, მეორემ — ორჯერ მეტი. ცქიტიშვილმა სულ 30 წუთი დაჰყო მოედანზე. ალბათ მეტი ხნითაც ითამაშებდა, მარიონ-სტუდემაიერის ლევნაში პერსონალურები რომ არ აეკრიფა და ექვსჯარიმიანი ლიმიტის ამოწურვის გამო აქტიური მოთამაშიდან მაყურებლად რომ არ ქცეულიყო.

„ფინიქსმა“ კი საჭირო გამარჯვება მოიპოვა. არიზონელებს „ჰიუსტონთან“ მოცილეობა აქვთ დასავლეთ კონფერენციის მოწინავე რვეულში მერვე ადგილისთვის და ახლა, როცა ერთსაც და მეორესაც 8-8 თამაში დარჩენიათ, ბრძოლა ისტერიაში გადადის.

„ჰიუსტონის“ და „ფინიქსის“ დავაში ჩარევა სურს „სიეტლ სუპერსონიქსს“ და თითქოს რაღაც გამოსდის. აგერ, ჩიკაგოში რთული გასვლა მოიგო და ორ ნაბიჯზე წამოეწია კონკურენტებს, მაგრამ მერე რას იზამს, ძნელი სათქმელია. ჩვენც მხოლოდ ის ვთქვათ, რომ, რაც ფავორიტთა სიიდან საშუალებში გადმოეწერა, „სიეტლს“ სულ უჭირს ამ ბოლო ნაბიჯების გადადგმა.

იბრძვიან სხვებიც, უკვე პლეი ოფში მოხვედრილები. რამდენიმე დღეა, „ინდიანას“ ის საფრთხე აღარ ემუქრება, რაც „სიეტლს“. აიზია ტომასის სამწყსოს დაბევებული აქვს პლეი ოფის სამოვრები, მაგრამ არც უკეთეს იალაღზე წახემსებას იუარებდა. მაგალითად, ინდიანელები სიამოვნებით გავიდოდნენ ცენტრალური დივიზიონის პირველ ადგილზე, რითაც პლეი ოფის პირველ წრეებში შედარებით იოლ მეტოქეებს დაეჯახებოდნენ. იყვნენ კიდეც პირველზე, მაგრამ ვერ შეირგეს ლიდერობა და ახლა იმისთვისღა იბრძვიან, აღმოსავლეთის მოწინავე ოთხეულიდანაც არ გამოვარდნენ. „ინდიანამ“ სეზონის მეორე ნახევარში თამაშების წაგება ისწავლა, რის მაგალითადაც თუნდაც ბოლო შეხვედრა გამოდგება. „პეისერზი“ „საკრამენტოს“ მასპინძლობდა და პირველი ნახევრის შემდეგ 9 ქულით უგებდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც ვერ მიიყვანა საქმე ბოლომდე. „ინდიანას“ ორივე მეფარე, ცენტრი ბრედ მილერიცა და თავდამსხმელი ჯერმენ ონილიც ოლ სტარის კალიბრისანი ჰყავს, მაგრამ მათ ყველაზე საჭირო მომენტში ფარქვეშა ბრძოლები „საკრამენტოს“ სამარქაფო სკოტ პოლარდთან დათმეს და „საკრამენტოს“ გამარჯვება აჩუქეს.

იმ დღეს „საკრამენტოსთან“ ერთად მოიგეს სხვა დასავლელმა ბობოლებმაც — სან ანტონიომ და „დალასმა“. პირველმა გატეხა მძლავრი ტრეისი მაკგრეიდის წინააღმდეგობა და ქედი მოახრევინა მის „ორლანდოს“, რომელიც აგრეთვე იბრძვის პლეი ოფში უკეთესი ადგილის მოსაპოვებლად. ხოლო „დალასმაც“ ასევე ბრძოლაში წაჰგლიჯა გამარჯვება კიდევ ერთ საშუალო გაქანების აღმოსავლელს, „ნიუ ორლეანს“.

**ძოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 47 | 26 | 64,4 |
| ნიუ ჯერსი | 46 | 28 | 62,2 |
| ფილადელფია | 44 | 29 | 60,3 |
| ინდიანა | 43 | 31 | 58,1 |
| ნიუ ორლეანი | 41 | 34 | 54,7 |
| ბოსტონი | 40 | 34 | 54,1 |
| ორლანდო | 39 | 36 | 52,0 |
| მილუოკი | 36 | 39 | 48,0 |
| ვაშინგტონი | 34 | 39 | 46,6 |
| ნიუ იორკი | 32 | 42 | 43,2 |
| ატლანტა | 29 | 45 | 39,2 |
| ჩიკაგო | 26 | 49 | 34,7 |
| ტორონტო | 23 | 50 | 31,5 |
| მაიამი | 23 | 52 | 30,7 |
| კლივლენდი | 14 | 59 | 19,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 56 | 18 | 75,7 |
| საკრამენტო | 53 | 22 | 70,7 |
| სან ანტონიო | 54 | 20 | 73,0 |
| პორტლენდი | 46 | 27 | 63,0 |
| მინესოტა | 46 | 26 | 61,3 |
| იუტა | 44 | 30 | 59,5 |
| ლეიკერსი | 43 | 31 | 58,1 |
| ფინიქსი | 39 | 35 | 52,7 |
| ჰიუსტონი | 38 | 36 | 51,4 |
| სიეტლი | 36 | 37 | 49,6 |
| გოლდენ სტეიტი | 36 | 39 | 48,0 |
| მემფისი | 26 | 48 | 35,1 |
| კლიპერსი | 23 | 51 | 31,1 |
| დენვერი | 17 | 58 | 22,7 |

*შრიფტით აღნიშნული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*

# ბრაიკოვიჩის საქმე: პირველად იყო დინამო

**სამშაბათს** საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დრაგენ ბრაიკოვიჩი დაინიშნა. ეს, მოძველებული ინფორმაციაა, მაგრამ ამავდროულად ცინცხალიც. 10 დღის წინ საქართველოში ჩამოსულ ხორვატ მწვრთნელს გუშინწინ ოფიციალურად ყველა ფორმალური წესის დაცვით ჩააბარეს ეროვნული გუნდი.

ამ საქმისთვის კალათბურთის ფედერაციაში აღმასკომი შეიკრიბა, რომელსაც ბრაიკოვიჩიც დაესწრო და აღმასკომის წევრებს საკუთარი სამუშაო გეგმა გააცნო. ბოლოს სიმბოლური პროცედურაც მოეწყო — კენჭი ყარეს და ხორვატი სპეციალისტის ნაკრების თავკაცად დანიშვნის წინააღმდეგ არავინ წასულა.

ერთი სიახლეც: ნაკრებს დაუნიშნეს მენეჯერიც, რომელიც გუნდის უფროსის ფუნქციებს შეასრულებს. ამ საპასუხისმგებლო საქმეს ვეტერანი კალათბურთელი გია სანაძე გაუძღვება.

მაშ ასე, დრაგენ ბრაიკოვიჩი უკვე ნაკრების დაკანონებული მწვრთნელია. შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელად ბრაიკოვიჩი წინა სამშაბათს დაინიშნა.



დრაგენ ბრაიკოვიჩი საქმეს შეუდგა

**ირაკლი პერტაია**

# მამაცაშვილი ათენში დაბინავდა

**16 წლის** გიორგი მამაცაშვილს ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმც კლუბმა მას უკვე მისცა ბინა ათენის გარეუბანში, სადაც ექვს თვეს დარჩება, მერე კი ალბათ ცალკე საცხოვრებელსაც გამოუყოფენ.

„ბინა დამიქირავეს, სადაც ორ თანაგუნდელთან ერთად ვცხოვრობ. ერთი „ოლიმპიაკოსის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს, მეორე ძირითადში. მითხრეს, 6 თვეში ცალკე საცხოვრებელში გადაგიყვანთო, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ კლუბში მიტოვებენ“ — გვითხრა მამაცაშვილმა, როცა ათენში დავუკავშირდით.

წინასწარი შეთანხმებით, გიორგი მამაცაშვილი „ოლიმპიაკოსის“ ძირითად გუნდში ჩაირიცხება. როგორც თავად კალათბურთელი ამბობს, კონტრაქტის გაფორმება დროის ამბავია. მამაცაშვილის მენეჯერი ალექსანდრ რაშკოვიჩი მისი სატრანსფერო სააგენტოს ამერიკაში მდებარე სათავო ოფისიდან კონტრაქტის ორიგინალს ელის, რომლის საბერძნეთში ჩასვლის შემდეგ ჩვენებური ოფიციალურად გახდება ოლიმპიაკოსელი.

ახლა მამაცაშვილი ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ცდილობს, ფორმა აღიდგინოს: „თითქმის რვა თვეა, არ მივარჯიშია. რაც „სლოვენიდან“ წამოვედი, მხოლოდ ინდივიდუალურად ვემზადებოდი. „ოლიმპიაკოსში“ ვარჯიში და თამაში ჩემთვის დიდი სკოლაა. არც კი მჯერა, ამ სახელოვანი კლუბის წევრი რომ უნდა გავხდე. მგონი, ყველა კმაყოფილია ჩემით, მწვრთნელი ვარჯიშის შემდეგ მტოვებს ხოლმე და ათასნაირ რჩევებს მაძლევს“.

**ირაკლი პერტაია**




გიორგი მამაცაშვილი

# ვოლესი ბოლს ეთამაშება

**„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“** ანჩხლმა და გადარეულმა თავდამსხმელმა რაშიდ ვოლესმა ერთხელაც შეყო თავი ხუნდების და გისოსების სამყაროში. ამას შინათ იგი, ვინ იცის, მერამდენედ ამხილეს მარიხუანას ქაჩვაში. რაკი ვოლერს მხოლოდ მოწევისას წაასწრეს და მარიხუანა ვთქვათ სახლში ან მანქანაში არ უპოვეს და შესაბამისად ნარკოტიკის შენახვაში ბრალსაც ვერ დასდებდნენ, კალათბურთელი რამდენიმე საათიანი პატიმრობით 650-დოლარიანი ჯარიმით გადარჩა.

ვოლესი პირველად როდი ჩაუვარდა ნარკოტიკებზე მონადირე პოლიციას. რამდენიმე თვის წინ მას პორტლენდისა და სიეტლის დამაკავშირებელი ტრასის შუაში სადღაც მოტელში დაადგა პოლიცია, როცა ეს პლანის კვამლში გახვეულიყო. ვოლესს ახლდა პორტლენდელი თანაგუნდელი დეიმონ სტუდემაიერი და ვიღაც მესამე, რომელიც კალათბურთელებს მძღოლად წამოეყვანათ. პოლიციელმა, რომელმაც პირველმა შეაღო მათი ოთახის კარი, თქვა რომ ოთხი გაბულული იყო მარიხუანის ბოლით, ხოლო მაგიდაზე ბალახის მოზრდილი მთა იდგა.

ვოლესმა პოლიციასთან კი მოინანია, მარიხუანით ვცელქობდი და მეტს აღარ ვიზამო, მაგრამ საეჭვოა, მგელმა მგლობა მოიშალოს. საერთოდაც ამ „პორტლენდში“ სულ ძველი ბიჭები, პლანის მქაჩველები და საერთოდ საზოგადოებრივ და სამართლებრივი წეს-წყობის დამრღვევნი შეყრილან. ამ რამდენიმე დღის წინ პოლიციამ მოზრდილი ჯარიმა შეაწერა „პორტლენდის“ ახალბედა მოთამაშეს, 22 წლის ქვინტელ ვუდსს, რომელიც დასაშვებზე 50 კილომეტრ-საათით მეტი სიჩქარით მართავდა ბოლო მოდელის კადელაკს.



რაშიდ ვოლესი



ისრაელი — საფრანგეთი. ზინედინ ზიდანმა ებრაელებს გამარჯვების გოლი გაუტანა

თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მსაჯს გარი ბრინის გოლი რომ ჩაეთვალა, ჩვენს ჯგუფში ირლანდიელები რუსთა ტოლად იქნებოდნენ. მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად ინება და სწორადაც — ირლანდიელი ოფსაიდში იყო. ამგვარად, ტირანაში თამაში ფრედ დასრულდა და ალბანეთი კვლავაც მესამე ადგილზეა, თან ქართველთა გულის გასახეთქად, უკვე 5 ქულა აქვს.

იმათი გულების გასახეთქად კი, ვინც ამტკიცებს, პატარა გუნდმა დიდს როგორ უნდა მოუგოსო, დანიისა და ბოსნიის მატჩის შედეგს ჩავხედოთ. შაბათს რუმინეთის განადგურებით გადიდგულებული დანიელები სერგი ბარბარესისა და ელვირ ბალიჩის საპირველტაიმო გოლებით თავისივე მოედანზე, ნახდნენ ამათ ჯგუფში კი ლიდერობა ნორვეგიელებმა ჩაიგდეს ხელში ლუქსემბურგის მოკრძალებული, მაგრამ საკმარისი ანგარიშით დამარცხების მერე.

მესამე ჯგუფში კვლავაც ორხელისუფლებიანობაა, ანუ ჩეხებმაც მოიგეს და ჰოლანდიელებმაც. ჩეხებს მეზობელ ავსტრიელთა ძლევა არ გასჭირვებიათ, თანაც მეტოქემ თამაში კაცნაკლულმა ჩაამთავრა — ბოჟო კოვაჩევიჩი შეცვლაზე სულ სამი წუთის შესული იყო, როცა გააძევეს. აი, ჰოლანდია მოლდოვასთან აგებდა და თავისთვის ზედმეტი ძალის დატანება მოუხდა. საბოლოოდ სენსაცია არ გამოცხვა.

პირველ ჯგუფში კი საფრანგეთს პირველობას ვინმე თუ ჩამოართმევს, სამაღარიჩო საქმე იქნება. ისე, ფრანგებიც აგებდნენ და მერელა გაუტანეს ებრაელებს ორი ბურთი.

მეოთხე ჯგუფში ლიდერი შეიცვალა: აქამდე პირველ საფეხურზე ლატვია იყო, ახლა პოლონეთია, რომელმაც სან მარინოს ნაკრები დაანიოკა. მაგრამ ისიცაა, რომ დაკარგული ქულებით პოლონელებს ლატვიელებიც ჯობნიან და წუხელ უნგრეთის დამმარცხებელი შვედებიც.

ეჰ, საწყალი ბერტი ფოგთსი — ვერა და ვერ გამართა წელში სქოთთა გუნდი. გუშინ შოტლანდია კაუნასში დამარცხდა, მატჩის გმირი კი პენალტით გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი რაჟანაუსკასი შეიქნა, ვინაც გერმანიასთან მატჩის გმირიც იყო, შაბათს ნიურნბერგში ბუნდესნაკრებს ორი ქულა სწორედ მისმა გოლმა დააკარგინა.

ზედიზედ მერვე შეხვედრაში ჩრდილოირლანდიელებს გოლი ვერ გააქვთ. ამ ჯერზე შინ დამარცხდნენ ბერძნებთან. მატჩის ბოლოს მასპინძლები ცხრანიც დარჩნენ, მსაჯმა ჯეიმს ქუინი და კეიტ გილესპი ნაადრევად გაისტუმრა. მათ ჯგუფში ლიდერი ისევ ესპანეთია, რომელმაც სამი უპასუხო გოლით გაისტუმრა სომხები, თუმცა გოლები გვიანი გამოუვიდა.

ინგლისმა ზურგს უკან ამოიყენა თურქეთი დარიუს ვასელისა და დევიდ ბექჰემის გოლებით. ეს თურქთა პირველი მარცხი იყო მსოფლიოს ჩემპიონატის მერე, ინგლის — თურქეთის ცხრამატჩიან დაპირისპირებაში კი თურქებს საერთოდ ხმა არ ამოელებათ: 31 გოლი გაუშვეს და ერთიც ვერ გაიტანეს.



ინგლისი — თურქეთი. უეინ რუნი ეცადა, მაგრამ ინგლისელებს გოლით ვერ შეეწია



სლოვენია — კვიპროსი. ნაკრებში დაბრუნებული ზლატკო ზაჰოვიჩი კვიპროსელ რაინერ რაუფმანს (№15) გაებრძოლა



ჩეხეთი — ავსტრია. მასპინძელთა ოთხი გოლიდან ერთი პაველ ნედვედისაც იყო

## ჩვენი ჯგუფი

**ალბანეთი 0:0 ირლანდია**

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ჩიპი, ალიბი, ლალა, კ. დურო, ბ. ჰასი, შკელა (ბუში 85), მურატი (ბელაი 66), ტარე, რაკლი (მურტაი 69)
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი
ირლანდია: გივენი, კარი, კანინგემი, ბრინი, ოში, კარსლი, კინსელა, ჰოლანდი, კილბეინი, კინი (დოჰერტი 66), დაფი
მწვრთნელი: ბრაიან კერი
გაფრთხილება: ბუში
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)
20 000 მაყურებელი

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**I ჯგუფი**
სლოვენია 4:1 კვიპროსი
ისრაელი 1:2 საფრანგეთი

**II ჯგუფი**
დანია 0:2 ბოსნია
ლუქსემბურგი 0:2 ნორვეგია

**III ჯგუფი**
მოლდოვა 1:2 ჰოლანდია
ჩეხეთი 4:0 ავსტრია

**IV ჯგუფი**
პოლონეთი 5:0 სან მარინო
უნგრეთი 1:2 შვედეთი

**V ჯგუფი**
ლიტვა 1:0 შოტლანდია

**VI ჯგუფი**
ჩრდ. ირლანდია 0:2 საბერძნეთი
ესპანეთი 3:0 სომხეთი

**VII ჯგუფი**
სლოვაკეთი 4:0 ლიხტენშტაინი
ინგლისი 2:0 თურქეთი

**VIII ჯგუფი**
ესტონეთი 0:0 ბულგარეთი
ხორვატია 2:0 ანდორა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ზიგენი 1:0 აალენი

## ინგლისი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბოსტონი 3:3 რექსემი

## იტალია

სერია C1/B
გადადებული მატჩი
აკილა 1:0 ტარანტო

## რუსეთი

ლიგის თასი. 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები
სპარტაკ-ალანია 4:2 ურალანი (0:1)
ლოკომოტივი 0:0 ტორ-მეტალურგი (0:3)
კრილია სოვეტოვი 1:1 როტორი (2:5)
როსტოვი 1:1 ჩერნომორეცი (0:2)
ცსკა 2:1 ზენიტი (0:2)
შინიკი 0:0 (პენ. 3:1) რუბინი (0:0)
სპარტაკი 5:2დდ. (3:2) სატურნი (2:3)
ტორპედო 2:1 დინამო (1:1)

## ამხანაგური მატჩები

ბელარუსი 2:2 უზბეკეთი
უკრაინა 1:0 ლატვია
პორტუგალია 1:0 მაკედონია

**ახალგაზრდულები**
უკრაინა — ლატვია 2:0

# მარტი აპრილში

ამერიკაში დასასრულს უახლოვდება „მარტის სიგიჟე", სტუდენტური კალათბურთის გადამწყვეტი თამაშები. ამ ლაღი და გრძნობებით სავსე ტურნირის უკომპრომისობას ეს ფოტოც მოწმობს: სირაკუზელი კარმელო ენტონი იმგვარი თავგანწირვით მიდევნებია ბურთს, რომ ლამის კოხტა ჩირლიდერები დაუჭყლიტავს. აღმოსავლეთის რეგიონის ფინალი კი სირაკუზელებსა და ოკლაჰომელებს შორის სწორედ პირველებს მოუგიათ.




REUTERS ოკლაჰომადან



REUTERS ცინცინატიდან

# ტყორცნა

ცინცინატში ყოფილა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამინდელი პრეზიდენტის მამა, ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში და იქაურ „გრეით ამერიქან ბოლ ბარკზე" საბეისბოლო მატჩი გაუხსნია სიმბოლური ტყორცნით. ცინცინატელი წითლები პიტსბურგელ მეკობრეებს ხვდებოდნენ. ბუში-უმცროსი კი სულ სხვაგვარი ტყორცნებითაა დაკავებული, თუმცა ამის შესახებ ჩვენ არაფერს გეტყვით.

# 500 დღე

ეს ღამის ათენია და გზისპირებზე კარგად ჩანს ბილბორდები, რომლებიც გვაუწყებს, რომ ათენის 2004 წლის ოლიმპიადის გახსნამდე 500 დღე დარჩა. ბილბორდები მოძრავია, სათვალავს ყოველდღე თითო რიცხვი მოაკლდება.




REUTERS ათენიდან



REUTERS ლონდონიდან

# ძმები ნიჩბებით

6 აპრილს ლონდონში, ტემზის წყალზე 149-ედ გაიმართება ოქსფორდ-კემბრიჯის ნაოსანთა შეჯიბრი. ორი უნივერსიტეტის ნავებიცა და გუნდებიც მზად არიან, ოღონდ კი წელს ერთი მოულოდნელი რამეც ხდება. ოქსფორდის ნავში იჯდება დეივიდ (მარცხნივ) ლივინგსტონი, კემბრიჯისაში კი მისი ძმა ჯეიმსი. ასეთი რამ კი ზუსტად ასი წელიწადია, არ მომხდარა.




AP ვაშინგტონიდან

# სალამი

ასეთი რამ ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში" ხშირად ხდება. როცა „ლეიკერსი" თამაშობს, კინოვარსკვლავი ჯეკ ნიკოლსონი პირველ რიგში ზის. ისეც გამოდის ხოლმე, რომ ძია ჯეკი მოწინააღმდეგესაც ართმევს ხელს, მითუმეტეს, როცა მოწინააღმდეგე მაიკლ ჯორდანია. „ლეიკერსმა" კი „ვიზარდსს" 108-94 მოუგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლავით თავართქილაძე, კოტე ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიორგი ასლანიშვილი, ლევან ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარცხაძე, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი კოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელეტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლეჟავა, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოღრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge